ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

გივი კალანდაძე

1974 წლის კონსტიტუციით დადგენილი კოსოვოსა და ვოევოდინას პოლიტიკური სტატუსი: იუგოსლავიის დეზინტეგრაციის დასაწყისი

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

დავით მაცაბერიძე

ასისტენტ-პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს კავშირის დადგენა იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში 1974 წელს მიღებულ კონსტიტუციასა და ქვეყნის ერთიანობის რღვევას შორის. კვლევის მთავარი ობიექტია კონსტიტუციის შედეგად სერბეთის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური პროვინციებისთვის - კოსოვოსა და ვოევოდინასთვის პოლიტიკური უფლებების ზრდა, რამაც პროვინციები სტატუსით ფაქტობრივად რესპუბლიკებთან გაათანაბრა.

საკითხის აქტუალობა რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული. იუგოსლავიის დაშლა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ერთ-ერთი ყველაზე დიდი გეოპოლიტიკური მოვლენა იყო. ბუნებრივია, ამ მოვლენამ მკვლევარების განსაკუთრებული ინტერესი მიიპყრო და აკადემიურ ლიტერატურას უამრავი საინტერესო ნაშრომი შეემატა. ამ კონტექსტში მკვლევართა შორის საკმაოდ აქტუალურია 1974 წლის კონსტიტუცია. კონსტიტუციამ, რომელმაც იუგოსლავიაში მნიშვნელოვან ინსტიტუციურ ცვლილებებს დაუდო სათავე, სერიოზული გავლენა იქონია ქვეყნის მომავალ განვითარებაზე. ხსენებული კონსტიტუციის გვერდის ავლა შეუძლებელია 1990-იან წლებში იუგოსლავიაში მომხდარი სამხედრო კონფლიქტებისა და 2000-იან წლებში კოსოვოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების განხილვისას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, თუ რამდენად შეუძლიათ კონსტიტუციურ და ინსტიტუციურ ცვლილებებს გავლენა მოახდინონ საზოგადოების ქცევასა და არჩევანზე.

კვლევის მიზანი სწორედ იმის გამოკვლევა, თუ რა გავლენა მოახდინა კოსოვოსა და ვოევოდინას ავტონომიური სტატუსის შეცვლამ „იუგოსლავიური ერთობის“ დასუსტებაში, რასაც იუგოსლავიის დაშლა და ხანგრძლივი სამხედრო კონფლიქტი მოჰყვა. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სერბული ნაციონალიზმის მომძლავრებას 1980-იან წლებში. დეტალურადაა განხილული კოსოვოში განვითარებული მოვლენები.

გაანალიზებულია სერბეთის პოლიტიკური ელიტის, ინტელიგენციისა და საზოგადოების როლი პოლიტიკურ პროცესებში.

კვლევამ დაადასტურა ვარაუდი, რომლის მიხედვითაც 1974 წლის კონსტიტუციით კოსოვოსა და ვოევოდინას ავტონომიური პროვინციებისთვის გაზრდილი პოლიტიკური უფლებების მინიჭება უარყოფითად აისახა ერთიანი იუგოსლავიის არსებობაზე, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი სერბულმა ნაციონალიზმმა შეიტანა. საკითხის აქტულობიდან გამომდინარე, ნაშრომი და კვლევის შედეგი საინტერესო უნდა იყოს მკითხველისთვის.

Annotation

The purpose of the thesis is to make the connection between the 1974 Yugoslav Constitution and the collapse of Yugoslavian unity. The main research object is the expanding of political rights of the Serbian Autonomous Provinces of Kosovo and Vojvodina that became almost similar to republics.

The topicality of the question is defined by various reasons. The breakup of SFR Yugoslavia was one of the most significant geopolitical change in the second half of the 20th century. It's obvious that the issue has become enthralling for many researchers and academic literature has been enriched by a lot of interesting books and articles. In this context, the 1974 Constitution is too topical among researchers. The constitution that led to important institutional changes in Yugoslavia, had a big influence on future development of the country. The 1974 Constitution in important during considering of Yugoslav Wars in 1990s and Kosovo problems in 2000s. It's also important to analyze how can constitutional and institutional changes have an influence on the society.

The purpose of the research is to study effects of the changes in the status of Kosovo and Vojvodina to the weakening of the 'Yugoslav Unity' that followed by the dissolution of SFR Yugoslavia and long armed conflicts. The thesis pays much attention to the rise of Serbian Nationalism in 1980s. Here is a detailed review of the political situation in Kosovo and also is analyzed the role of Serbian political elites, intellectuals and society in the political processes.

The research has proved the suggestion that the political rights of the Kosovo and Vojvodina which were granted by the 1974 Constitution, had a negative impact on the existence of united Yugoslavia. On this way Serbian Nationalism played an important role. Once the issue is topical, the paper and the result of the research are expected to be interesting for the readers.

სარჩევი

შესავალი 6

ლიტერატურის მიმოხილვა 12

1. იუგოსლავიის კონსტიტუციური ისტორია 21

1.1. ტიტოს ხელისუფლების რეფორმები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 21

1.2. საკონსტიტუციო ცვლილებების ახალი ტალღა 23

1.3. 1974 წლის კონსტიტუცია - რესპუბლიკებისა და პროვინციების სტატუსი 25

1.4. სერბების დამოკიდებულება საკონსტიტუციო ცვლილებების მიმართ 30

1.5. სერბეთის პოლიტიკური ელიტის მცდელობები 34

2. ვითარება იუგოსლავიაში ტიტოს გარდაცვალების შემდეგ 36

2.1. სერბეთის პოლიტიკური ელიტის გააქტიურება 36

2.2. პოლიტიკური ვითარება კოსოვოში 37

2.3. სერბების მიზნები კოსოვოს ავტონომიურ პროვინციაში 39

3. სერბული ნაციონალიზმი და იუგოსლავიის დასასრული 42

3.1. სერბული ნაციონალიზმი 1980-იან წლების დასაწყისში 42

3.2. სლობოდან მილოშევიჩი - სერბი ნაციონალისტების ახალი ლიდერი 44

3.3. კოსოვოსა და ვოევოდინას ავტონომიური სტატუსის ცვლილება და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დასასრული 46

თეორიული ჩარჩო - ახალი ინსტიტუციონალიზმი 49

დასკვნა 51

გამოყენებული ლიტერატურა 54

შესავალი

იუგოსლავია მე-20 საუკუნეში ევროპის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფოს წარმოადგენდა. ცივი ომის პერიოდში ქვეყნის მიმართ ინტერესი ჰქონდათ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს. მიუხედავად იმისა, რომ იუგოსლავია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სოციალისტურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა და მთავარ იდეოლოგიად სახელმწიფოში კომუნიზმი დამკვიდრდა, ქვეყანა ცდილობდა სსრკ-სგან დისტანცირებას. ამავდროულად, ურთიერთობებს აწარმოებდა დასავლეთის ქვეყნებთან. მაშინ, როცა მსოფლიო და განსაკუთრებით ევროპა ორ ბანაკად იყო დაყოფილი, იუგოსლავიური მოდელი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

იუგოსლავიის არსებობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა:

1. ის წარმოადგენდა ბუფერს დასავლეთსა და სსრკ-ს შორის;

2. მიუხედავად იმისა, რომ იუგოსლავია ოფიციალურად სოციალისტური რესპუბლიკა იყო, ქვეყანა არ იყო სრულად სოციალისტური, ქვეყნის ლიდერი იოსიპ ბროზი, იგივე „ტიტო“ კაპიტალიზმის ელემენტებს უშვებდა;

3. იუგოსლავია თანამშრომლობდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასთან. ქვეყანას მნიშვნელოვანი ეკონომიკურ მხარდაჭერა ჰქონდა 1980-იანი წლების ბოლომდე.

იუგოსლავიის ისტორია პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იწყება. 1918 წელს ჩამოყალიბდა სლოვენების, ხორვატებისა და სერბების სახელმწიფო. სახელწოდება „იუგოსლავია“ 1929 წლიდან დამკვიდრდა და ქვეყანას იუგოსლავიის სამეფო ეწოდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მონარქია კომუნისტურმა რეჟიმმა შეცვალა და იუგოსლავიის სამეფო იუგოსლავიის სახალხო ფედერაციულ რესპუბლიკად გადაკეთდა. 1946 მიღებული კონსტიტუციის მიხედვით, იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 6 რესპუბლიკა (ბოსნია და ჰერცეგოვინა, ხორვატია, მაკედონია, მონტენეგრო, სერბეთი, სლოვენია) და სერბეთის 2 ავტონომიური პროვინცია (კოსოვო და ვოევოდინა). ქვეყანას პარტიზანთა ლიდერი, იოსიფ ბროზ ტიტო ჩაუდგა სათავეში. 1963 წლის კონსტიტუციით ტიტო იუგოსლავიის პრეზიდენტი გახდა. ქვეყანას იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა ეწოდა.

1974 წელს, იუგოსლავიამ მეოთხე და ქვეყნის არსებობის ისტორიაში ბოლო კონსტიტუცია მიიღო. კონსტიტუციის მიხედვით, ტიტო სიცოცხლის ბოლომდე ქვეყნის ლიდერად ცხადდებოდა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ იუგოსლავიის მართვა პრეზიდიუმის ხელში გადადიოდა, რომელიც ფედერაციულ რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების წარმომადგენლებისგან შედგებოდა.

კონსტიტუციის შედეგად, ინსტიტუციურად იუგოსლავია მნიშვნელოვნად იცვლებოდა. ქვეყანაში იწყებოდა სწრაფი დეცენტრალიზაციის პროცესი. ფაქტობრივად მწვანე შუქი ეძლეოდა ქვეყნის კონფედერაციად ჩამოყალიბებას. კონფედერაციად ჩამოყალიბება ნიშნავდა ფედერაციაში შემავალი სუბიექტების უფლებების ზრდას. ეს ყოველივე კი იუგოსლავიის ტიპის სახელმწიფოსთვის რისკის შემცველი იყო, რადგან არსებობდა საფრთხე, რომ რესპუბლიკები საკუთარი ინტერესების შესაბამისად იმოქმედებდნენ. ავტონომიის ზრდას კი შესაძლოა მოჰყოლოდა დამოუკიდებლობის მოთხოვნის დღის წესრიგში დადგომა.

იუგოსლავიამ მიზნად დაისახა მოდერნიზაცია - ერთი მხრივ ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება არსებული ნაციონალისტური განწყობების მიუხედავად, მეორე მხრივ კი ძალაუფლების გადანაწილება და ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების უფლებების ზრდა, რაც ნიშნავდა მათი წარმომადგენლების მეტ ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ასეთი ტიპის სახელმწიფო მოწყობა შეუთავსებელი აღმოჩნდა იუგოსლავიის ტიპის ფედერაციული რესპუბლიკისთვის. ძალაუფლების გადანაწილებამ და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების როლის ზრდამ იმის საპირისპირო შედეგი მოიტანა, რასაც ტიტო ვარაუდობდა. (Klasić, 2015)

მოგვიანებით, იუგოსლავიაში გააცნობიერეს, რომ 1974 წელს მიღებული კონსტიტუცია საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის ერთიანობას. ადგილი ჰქონდა მცდელობებს შეეცვალათ ის რეალობა, რაც კონსტიტუციის ამოქმედების შემდეგ შეიქმნა. ტიტოს გარდაცვალების შემდეგ, კონსტიტუციამ გამორიცხა ლიდერის არსებობა. ლიდერის, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის ერთიანობას. შექმნილი რეალობის ერთ-ერთი აქტიური მოწინააღმდეგე სლობოდან მილოშევიჩი იყო, რომელსაც გააჩნდა ამბიცია გამხდარიყო ტიტოს მსგავსი ლიდერი. იუგოსლავიის პოლიტიკური ელიტის ცალკეული წარმომადგენლების მცდელობები კრახით სრულდებოდა.

საინტერესოა, რომ ფედერაციული რესპუბლიკის ე.წ. „მარტივ მამრავლებად“ დაშლა 21-ე საუკუნეშიც გრძელდება. 2006 წელს ორ ნაწილად დაიყო სერბეთისა და მონტენეგროს სახელმწიფოთა კავშირი. 2008 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა კოსოვომ.

კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რა როლი შეასრულა იუგოსლავიის 1974 წელს მიღებული კონსტიტუციის შედეგად კოსოვოსა და ვოევოდინას ავტონომიური პროვინციების სუვერენიტეტის გაზრდამ ფედერაციული რესპუბლიკის

დაშლის პროცესში. მკვლევარების ნაწილი თვლის, რომ სწორედ 1974 წელს მიღებულმა კონსტიტუციამ დაუდო სათავე იუგოსლავიის დაშლის პროცესს.

როგორც აღვნიშნე კონსტიტუციის მიხედვით იუგოსლავია ფაქტობრივად კონფედერციად ჩამოყალიბდა. გარდა რესპუბლიკების უფლებების გაზრდისა, კონსტიტუციამ განსაზღვრა კოსოვოსა და ვოევოდინას ავტონომიური სტატუსი, რის შედეგადაც სერბეთმა გარკვეულწილად დაკარგა ამ ორ რეგიონზე კონტროლი. ახალმა კონსტიტუციამ უკმაყოფილება გამოიწვია სერბებში. სერბებს მიაჩნდათ, რომ სახელმწიფოს უზენაესი კანონი, მათთვის სერიოზული პრობლემების საფუძველი გახდებოდა. (MacDonald, 2003: 190-191)

ნაშრომში მთავარი საკვლევი კითხვაა - რა როლი შეარულა 1974 წელს იუგოსლავიაში მიღებული კონსტიტუციის შედეგად გამოწვეულმა ძალაუფლების დეცენტრალიზაციამ, კერძოდ კი კოსოვოსა და ვოევოდინას ავტონომიური პროვინციების უფლებების გაზრდამ ფედერაციული რესპუბლიკის ერთიანობის რღვევის პროცესში?

ნაშრომის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: 1974 წელს მიღებულმა კონსტიტუციამ, კერძოდ კოსოვოსა და ვოევოდინას ავტონომიური პროვინციებისთვის ძალაუფლების გაზრდამ, რასაც 1980-იან წლებში სერბული ნაციონალიზმის მომძლავრება მოჰყვა, ნეგატიური გავლენა იქონია იუგოსლავიის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს არსებობაზე, რაც ქვეყნის დეზინტეგრაცია მოჰყვა.

კონსტიტუცია არ იყო მორგებული იუგოსლავიის ტიპის სახელმწიფოზე. კონსტიტუციის ის მუხლები, რომელთა მიხედვითაც ხდებოდა დეცენტრალიზაცია და უფლებები ეზრდებოდათ იუგოსლავიაში შემავალ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ პროვინციებზე, საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის ერთიანობას.

ჰიპოთეზის დასადასტურებლად აუცილებელია 1974 წლის კონსტიტუციის ცალკეული ნაწილების გაცნობა. საჭიროა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა ერთი მხრივ კოსოვოსა და ვოევოდინას ავტონომიური პროვინციებისთვის უფლებების გაზრდასა და სერბებში რევანშისტული განწყობების გაჩენას შორის, ხოლო მეორე მხრივ ერებს შორის კრიზისული ვითარების გაჩენასა და იუგოსლავიის დაშლის პროცესს შორის.

ნაშრომში დამოუკიდებელი ცვლადია 1974 წლის კონსტიტუციით კოსოვოსა და ვოევოდინას ავტონომიური პროვინციებისათვის უფლებების გაზრდა, ფაქტობრივად მათი გათანაბრება რესპუბლიკებთან. კონსტიტუციაში კოსოვო და ვოევოდინა ხშირადაა დამოუკიდებლად ნახსენები რესპუბლიკების გვერდით. ფაქტობრივად უფლებები, რომლებითაც რესბპუბლიკები სარგებლობდნენ, ავტონომიურ პროვინციებსაც მიენიჭათ. კონსტიტუციის მიხედვით, ორივე პროვინცია სერბეთის სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა, თუმცა ამავე კონსტიტუციით, კოსოვოსა და ვოევოდინას სერბეთისგან დამოუკიდებლად შეეძლოთ რიგი გადაწყვეტილებების მიღება, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სერბეთი ფაქტობრივად კარგავდა კონტროლს თავის შემადგებლობაში შემავალ ტერიტორიებზე. (Constitution of the Socialist Federal Republic of Yugoslavia, 1974)

შუალედური ცვლადი სერბებს შორის ნაციონალისტური განწყობების გააქტიურებაა, რაც გამოიწვია იმ უკმაყოფილების ტალღამ, რაც კონსტიტუციაში შესულმა ცვლილებებმა წარმოშვა. იუგოსლავიის ხელისუფლების, კერძოდ კი ტიტოსა და მისი მიმდევრების მიზანმა იუგოსლავიაში განხორციელებულიყო ძალაუფლების დეცენტრალიზაცია და ბელგრადიდან აღარ ემართათ პროცესები სხვა რესპუბლიკებში, განსხვავებული ფორმა მიიღო. სერბეთმა კონტროლი არა მხოლოდ რესპუბლიკებზე დაკარგა, არამედ მის შემადგელობაში შემავალ რეგიონებზე. (MacDonald, 2003)

დამოუკიდებელი ცვლადია იუგოსლავიის ერთიანობის რღვევა, რამაც საბოლოოდ ფედერაციული რესპუბლიკა მიიყვანა დაშლამდე. ტიტოსა და მისი პოლიტიკის მხარდამჭერების მიზანი - თვითმმართველობის რეფორმებითა და სწრაფი დეცენტრალიზაციით გაენეიტრალებინათ შესაძლო ნაციონალისტური განწყობები, იუგოსლავიას კარდინალურად განსხავვებული შედეგი მოუტანა. (Klasić, 2015)

ბუნებრივია, სამაგისტრო ნაშრომს პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ იუგოსლავიის საკითხის გარშემო აკადემიური ლიტერატურა მდიდარია, ვეცდები გარკვეულწილად სხვა კუთხით წარმოვაჩინო საკითხი. გარდა ამისა, აღნიშნული საკითხის გარშემო ლიტერატურა მწირია ქართულ ენაზე, განსაკუთრებით 1974 წლის კონსტიტუციის კავშირზე იუგოსლავიის დაშლასთან.

ნაშრომში ძირითადად თვისებრივი კვლევის მეთოდი იქნება გამოყენებული. გავაანალიზებ ნაშრომისთვის საინტერესო მოვლენებს, რისთვისაც გამოვიყენებ „პროცესის მიდევნების“ (Process tracing) მეთოდს. „კონტენტ ანალიზის“ (Content analysis) მეთოდს გამოვიყენებ კონსტიტუციის ცალკეული მუხლების შესასწავლად. ნაშრომში გამოვიყენებ ასევე „კონკრეტული შემთხვევის შესწავლის“ მეთოდს (Case Study). შევისწავლი და გავაანალიზებ კოსოვოსა და ვოევოდინას ავტონომიური პროვინციებისთვის უფლებების გაფართოებას.

ლიტერატურის მიმოხილვა

როგორც ყველა აკადემიურ ნაშრომში, ამ შემთხვევაშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება აკადემიურ ლიტერატურას. ნაშრომში გამოვიყენებ წიგნებს, აკადემიურ ნაშრომებსა და სტატიებს, რომლებიც დამეხმარება კვლევის სწორად წარმართვაში. როგორც აღვნიშნე, იუგოსლავიის საკითხის გარშემო აკადემიური ლიტერატურა მდიდარია. კონკრეტულად 1974 წლის კონსტიტუციასა და მისი ამოქმედების შედეგად განვითარებულ მოვლენებზე არაერთი საინტერესო ნაშრომია დაწერილი.

ერთ-ერთი მათგანი სერბ მკვლევარს, დეიან გუზინას ეკუთვნის. სტატიაში „იუგოსლავიის თვითგანადგურება“, ავტორი განიხილავს იუგოსლავიის დაშლის მიზეზებს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია მისი ანალიზი 1974 წლის კონსტიტუციის მიღებასა და ნაციონალისტური განწყობების გააქტიურების კავშირის შესახებ. სტატიის ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს 1974 წლის კონსტიტუციას. სტატიის მიხედვით, კონსტიტუცია იუგოსლავიაში შემავალ რესპუბლიკებსა და პროვინციებს ე. წ. „ნაციონალურ სახელმწიფოებად“ (National States) აცხადებდა. პარალელურად, შეიზღუდა ცენტრის ძალაუფლება და მხოლოდ საგარეო პოლიტიკა, თავდაცვა და მინიმალური ეკონომიკური ინსტრუმენტები მოიცვა. (Guzina, 2000: 21-32)

საინტერესო ანალიზს გვთავაზობს რობერტ ჰეიდენი ნაშრომში „იუგოსლავიის ფედერალიზმის დასასრულის დასაწყისი: 1989 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების კრიზისი სლოვენიაში“. ავტორის მტკიცებით, 1974 წლის კონსტიტუციამ იუგოსლავია საკმაოდ სუსტ ფედერაციად გადააქცია. კონსტიტუციის შედეგად ცენტრის ძალაუფლება შემცირდა და მეტი ავტონომია მიიღეს რესპუბლიკებმა და ავტონომიურმა პროვინციებმა. ავტორის აზრით, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი

იყო ის ფაქტი, რომ ამ ერთეულებს შეეძლოთ ვეტოს უფლებით ესარგებლათ ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული კანონების წინააღმდეგ. (Hayden, 1992: 4)

მკვლევარი მოიმირ კრიჟანი სტატიაში „ახალი სერბული ნაციონალიზმი და მესამე ბალკანური ომი“ განიხილავს სერბული ნაციონალიზმის გააქტიურების მიზეზებსა და მის შედეგებს. სტატიაში ყურადღებას იქცევს სერბი ინტელექტუალების როლი იუგოსლავიაში 1980-იან წლებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ავტორი მიმოიხილავს იმ დოკუმენტებს, რომლებიც აკადემიურ წრეებში შეიქმნა და რომელთა შინაარსი პირდაპირ მიმართული იყო სერბული ნაციონალიზმის გააქტიურებისკენ. სტატიის მიხედვით, ხსენებული პეტიციების ავტორთა უკმაყოფილებს 1974 წლის კონსტიტუციით ქვეყანაში, განსაკუთრებით კი სერბეთის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური პროვინციებში არსებული პოლიტიკური ვითარება იწვევდა. შესაბამისად, ისინი მიმართავდნენ იუგოსლავიისა და სერბეთის საკანონმდებლო ორგანოებს, მიეღოთ ზომები, რათა შეწყვეტილიყო სერბების მიმართ ძალადობრივი პოლიტიკა, რაც მეტწილად განპირობებული იყო სერბეთის რესპუბლიკისთვის მიუღებელი კონსტიტუციის არსებობით. (Križan, 1994: 56-59)

სტატიაში „სლობოდან მილოშევიჩის პროფილი“, მკვლევარი ალექსა ჯილასი 1980-იანი წლების მეორე ნახევარში იუგოსლავიაში მიმდინარე მოვლენებს აანალიზებს. ავტორის აზრით, სერბები 1974 წლის კონსტიტუციით ყველზე დაჩაგრულად გრძნობდნენ თავს. ჯილასი მიმოიხილავს სერბი ნაციონალისტების და მათ შორის სლობოდან მილოშევიჩის მხარდამჭერების დამოკიდებულებას 80-იან წლებში არსებული პოლიტიკური ვითარების მიმართ. სტატიაში საუბარია იმაზე, რომ სერბების ნაციონალისტური განწყობების მთავარი მაპროვოცირებელი მიზეზი იყო ის სტატუს-

კვო, რომელიც 1974 წლის კონსტიტუციით კოსოვოსა და ვოევოდინაში ჩამოყალიბდა. (Djilas, 1993: 81-83)

კონსტიტუციურ კრიზისს მიუძღვნა თავისი ნაშრომი მკვლევარმა რიჩარდ იგლარმა. სტატიაში „საკონსტიტუციო კრიზისი იუგოსლავიაში და თვითგამორკვევა საერთაშორისო სამართალში: სლოვენიისა და ხორვატიის ფედერაციიდან გამოყოფის უფლება“, საუბარია 1974 წლის კონსტიტუციით გამოწვეულ კრიზისზე, რომელმაც საბოლოოდ იუგოსლავიის ერთიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. იგლარი სტატიაში წერს, რომ კონსტიტუციაში შეტანილმა ცვლილებებმა, რაც საბოლოოდ დაგვირგვინდა 1974 წლის კონსტიტუციის მიღებით, რესპუბლიკებისა და პროვინციების ძალაუფლება კიდევ უფრო გაიზარდა. იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა ფაქტობრივად კონფედერაციად იქცა. იგლარი 1974 წლის კონსტიტუციის მიხედვით აანალიზებს ორი რესპუბლიკის - სლოვენიისა და ხორვატიის მისწრაფებას დამოუკიდებლობისკენ. ავტორი ყურადღებას ამახვილებს კონსტიტუციის ფორმალურ მხარეზე. ამავდროულად, საუბრობს იმაზე, რომ კონსტიტუცია და იუგოსლავიის ხელისუფლების მიზნები და მოქმედები წინააღმდეგობაში მოდიოდნენ ერთმანეთთან. ერთი მხრივ, რესპუბლიკებს ჰქონდათ თვითგამორკვევის უფლება, ხოლო მეორე მხრივ ხელოვნურად იქმნებოდა ისეთი ბარიერები, რომლებიც გამორიცხავდა იუგოსლავიის შემადგენლობიდან მათ გასვლას. ეს ყოველივე სერიოზული კრიზისის საფუძველს ქმნიდა. (Iglar, 1992 : 233-239)

იუგოსლავიის დაშლის წინაპირობებზე საუბრობს თავის წიგნში ხორვატი მკვლევარი დეიან იოვიჩი. ნაშრომში სათაურით „იუგოსლავია: სახელმწიფო, რომელიც თანდათანობით დასუსტდა“, მიმოხილულია ის ფაქტორები, რომლებსაც იუგოსლავიის დაშლას უკავშირებენ. სხვა ფაქტორებთან ერთად, იოვიჩი ყურადღებას ამახვილებს ტიტოს ფაქტორზე. ავტორი იოსიპ ბროზს იუგოსლავიის ერთიანობის გარანტად

წარმოაჩენს. იოვიჩის აზრით, სწორედ ტიტო იყო გადაწყვეტილებების ერთადერთი რეალური მიმღები. საკუთარ თავს, იუგოსლავიის ლიდერი ქვეყანასთან აიგივებდა. ფაქტიურად, მთელი ძალაუფლება მის ხელში იყო მოქცეული. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ტიტო პოლიტიკურ დაპირისპირებებში მედიატორის როლს ასრულებდა. მიუხედავად 1974 წლის კონსტიტუციის ძალაში შესვლისა, რომლის მიხედვითაც აქტიურად იწყებოდა ძალაუფლების დეცენტრალიზაციის პროცესი, იუგოსლავია მაინც ერთიან და ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ რჩებოდა. ამის ერთადერთი მიზეზი კი სწორედ ტიტო იყო. ქვეყნის ლიდერი ფაქტობრივად კანონზე მაღლა იდგა. იოვიჩის მოსაზრებით, ეს ყოველივე განსაკუთრებით გამოჩნდა ზემოთ ხსენებული კონსტიტუციის მიღების შემდეგ. 1974 წლის კონსტიტუციის მიხედვით, ტიტო განუსაზღვრელი ვადით ცხადდებოდა იუგოსლავიის ლიდერად. მის გარეშე ვერცერთი მნიშნელოვანი გადაწყვეტილება მიიღებოდა. ქვეყნის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები - თავდაცვა, საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება - სწორედ ტიტოს პერსონალურ სფეროებად მიიჩნეოდა. (Jović, 2009: 270-280)

კიდევ ერთი საინტერესო ნაშრომი ეკუთვნის იაპონელ მკვლევარ იოჯი კოიამას. ნაშრომში სათაურით „სამხრეთ-აღმოსვლეთ ევროპა ცვლილების პროცესში: სტაბილურობის ძიება რეგიონში ყოფილი იუგოსლავიის დაშლის შემდეგ“, მიმოხილულია იუგოსლავიის დაშლა და მისი გამომწვევი მიზეზები. ერთ-ერთი თავი ეხება 1974 წელს მიღებულ კონსტიტუციას. ნაშრომის მიხედვით, ტიტოს მთავარი მიღწევა იყო ერების ინტეგრაცია ფედერალურ სახელმწიფოში, რომელიც დაფუძნებული იყო მეგობრობასა და ერთობაზე. კოიამა მიმოიხილავს იუგოსლავიის ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, რომლის მიზანი ძალაუფლების დეცენტრალიზაცია იყო. პროცესი აქტიურად დაიწყო 1966 წელს, ცენტრალიზაციის მომხრე ვიცე-პრეზიდენტის ალექსანდრ რანკოვიჩის პოსტიდან გადადგომის შემდეგ. იუგოსლავიის კომუნისტური ლიგის მმართველმა რგოლის აქტიურობის შედეგად, 1971

წელს, 1963 წლის კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები, რის შედეგადაც იუგოსლავიაში შემავალმა რესპუბლიკებმა მეტი ძალაუფლება მიიღეს. ცვლილებები სისტემატიზირებულად აისახა 1974 წლის კონსტიტუციაში. კონსტიტუციის ამოქმედების შემდეგ, რესპუბლიკებმა და ავტონომიურმა პროვინციებმა გარკვეული სახის სუვერენიტეტი მიიღეს. სტატიის მიხედვით, ეს არ ეხებოდა საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული თავდაცვის მიმართულებებს, ასევე გარკვეული შეზღუდვები მოქმედებდა სხვა სფეროებშიც. სტატიაში ავტორი ცალკე გამოყოფს კოსოვოს საკითხს. სტატიის მიხედვით, 1950-70 წლებში ალბანელების როლი კოსოვოს ტერიტორიაზე უმნიშვნელო იყო. 1970-იან წლებში, განსაკუთრებით კი იმ რეალობის პირობებში, რაც 1974 წლის კონსტიტუციის შედეგად შეიქმნა, კოსოვოს ავტონომიური ოლქის სტატუსი საგრძნობლად გაიზარდა. ამის შედეგად, გაიზარდა ალბანელთა უფლებებიც. მიუხედავად ამისა, ალბანელები უკმაყოფილოები იყვნენ ეკონომიკური მდგომარეობით. გარდა ამისა, ღიად გამოხატავდნენ სურვილს, რომ კოსოვოს ავტონომიური ოლქს მიეღო რესპუბლიკის სტატუსი. კოიამა აღნიშნავს, რომ ეს უკმაყოფილება 1981 წლის საპროტესტო ტალღაში გადაიზარდა, რომელიც ცენტრალურმა ხელისუფლებამ ძალადობრივი მეთოდებით გაანეიტრალა. სწორედ ამ პერიოდიდან კოსოვოში განსაკუთრებით იძაბება სიტუაცია. 1980-იან წლების შუა ნაწილში სლავი უმცირესობის ათასობით წარმომადგენელმა კოსოვო დატოვა. მიზეზი ალბანელების მხრიდან მომდინარე ზიზღი იყო, რაც ხშირად გადაიზრდებოდა ძალადობრივ ქმედებებში. ამის შედეგად, გააქტიურდა სერბული ნაციონალიზმი. 1980-იანი წლების ბოლოს ხელისუფლების სერბულმა ფრთამ აქტიურად დაიწყო ბრძოლა ალბანელების წინააღმდეგ. ამ ყველაფრის შედეგად, იუგოსლავიაში საკმაოდ მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა შეიქმნა. (Koyama, 2000: 15-54)

იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები ასახული აქვს თავის წიგნში პოლიტიკური მეცნიერებების მკვლევარს დევის ბრუს

მაკდონალდს. ნაშრომში სათაურით „ბალკანური ჰოლოკოსტი? მსხვერპლზე ორიენტირებული სერბული და ხორვატული პროპაგანდა და ომი იუგოსლავიაში“, დეტალურადაა მიმოხილული სხვადასხვა ეტაპზე იუგოსლავიაში განვითარებული მოვლენები. ბუნებრივია ჩვენთვის საინტერესოა წიგნის ის თავები, სადაც 1974 წლის კონსტიტუციაზე, მის მიმართ იუგოსლავიაში შემავალი რესპუბლიკების დამოკიდებულებასა და ქვეყანაში შექმნილ კრიზისში ამ კონსტიტუციის როლზე. სხვა ავტორების მსგავსად, მაკდონალდიც ყურადღებას დეცენტრალიზაციასა და ლიდერის ინსტიტუტის გაუქმებაზე ამახვილებს. ავტორი ხაზს უსვამს სლობოდან მილოშევიჩის მცდელობებს, რომლებიც მიზნად ისახავდა ერთიანი კავშირების აღდგენას რესპუბლიკებს შორის, რათა ქვეყანა გამოსულიყო იმ ანარქიზმიდან, რომელიც 1974 წლის შემდეგ შეიქმნა. მაკდონალდის ნაშრომი 1980-იან წლებში იუგოსლავიაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას პირდაპირ აკავშირებს 1974 წლის კონსტიტუციასთან. (MacDonald, 2003: 187-192)

სხვადასხვა პერიოდში იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიღებულ კონსტიტუციებს მიმოიხილავს თავის სტატიაში ჰრვოე კლასიჩი. სტატიაში სათაურით „მოჩვენებითი ფედერაცია“: სოციო-პოლიტიკური ცვლილებები იუგოსლავიაში 1960-იან წლებში“, განხილულია იუგოსლავიის პოლიტიკური ელიტის მცდელობები რეფორმების გზით ჩამოეყალიბებინათ მოდელი, რომელიც ერთი მხრივ გადაანაწილებდა ძალაუფლებას და გაზრდიდა რესპუბლიკების სტატუსს, ხოლო მეორე მხრივ შეინარჩუნებდა იუგოსლავიის ერთიანობას. კლასიჩი სტატიის დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ 1974 წლის კონსტიტუციაზე მუშაობის და მისი მიღების პროცესში რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. უთანხმოება განსაკუთრებით მწვავე იყო რამდენიმე საკითხის გარშემო. რესპუბლიკებსა და ეთნოსებს შორის ურთიერთობები, ფედერალური ცენტრისა და თვითმმართველობის მომავალი - ამ თემებზე საზოგადოებაში უამრავი სხვადასხვა

მოსაზრება არსებობდა. ავტორის ანალიზის მიხედვით, საკონსტიტუციო რეფორმას სულაც არ დაუსვამს წერტილი იმ დავისა და ანტაგონიზმისთვის, რაც საზოგადოებში სუფევდა. პირიქით, კლასიჩი იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ბოლო კონსტიტუციას ქვეყნის დეინტეგრციის დაწყების მთავარ ფაქტორად მიიჩნევს. სტატიიდან ნათლად ჩანს ავტორის დამოკიდებულება 1974 წლის კონსტიტუციის მიმართ. ფაქტიურად, ის დოკუმენტს იუგოსლავიისთვის დამღუპველად მიიჩნევს. ის მიიჩნევს, რომ კონსტიტუცია, რომელიც მიზნად ისახავდა ინტეგრაციას, დეინტეგრაციის საფუძველი აღმოჩნდა. სტატიის ბოლოს ასევე აღნიშნავს, რომ იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა ნაცვლად იმისა, რომ გამხდარიყო მოქნილი და უნივერსალური სახელმწიფო, 1980-იან წლებში დაშლის ფაზაში აღმოჩნდა. (Klasić, 2015)

რაც შეეხება ნაშრომის სტრუქტურას, ნაშრომი შედგება შესავლისგან, 4 თავისა და დასკვნისაგან. თავები შესაბამისად დაყოფილია ქვეთავებად. პირველ თავში, რომელიც 5 ქვეთავისგან შედგება, მიმოხილულია იუგოსლავიის კონსტიტუციების მოკლე ისტორია იმისათვის, რომ მკითხველს წარმოდგენა შეექმნას სხვადასხვა ეტაპზე ქვეყანაში მიღებული კონსტიტუციების მნიშვნელოვან თავისებურებებზე. პირველი თავის პირველი ქვეთავი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიღებულ სამ კონსტიტუციას ეხება. ქვეთავში მიმოხილულია ტიტოს ხელისუფლების მიერ დაწყებული რეფორმები - დეცენტრალიზაციისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯები. რაც შეეხება მეორე ქვეთავს, აქ ძირითადად საუბარია 1960-იანი წლების ბოლოსა და 1970-იანი წლების დასაწყისში გატარებულ რეფორმებზე, რომელთა მიზანი თვითმმართველობის კიდევ უფრო გაძლიერება და იუგოსლავიაში შემავალი რესპუბლიკებისთვის უფლებების კიდევ უფრო დიდი დოზით მინიჭება იყო. მესამე ქვეთავში 1974 წლის კონსტიტუცია და ნაშრომისთვის საინტერესო მუხლებია მიმოხილული. ბუნებრივია განსაკუთრებულ ინტერესს ის მუხლები იწვევს, რომლებშიც კოსოვოსა და ვოევოდინას ავტონომიური

პროვინციებისთვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭებაზეა სუბარი. მეოთხე ქვეთავი ტიტოს ხელისუფლების მიერ დაწყებული რეფორმების მიმართ სერბული საზოგადოების დამოკიდებულებას ასხავს. განსაკუთრებით საინტერესოა აკადემიური წრეების დამოკიდებულება არსებული პოლიტიკური მდგომარეობის მიმართ. მეხუთე ქვეთავში განხილულია სერბეთის პოლიტიკური ელიტის მცდელობები მიმართული კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანისკენ. საყურადღებოა სერბი პოლიტიკოსების მიერ შედგენილი „ლურჯი წიგნი“, რომელშიც ისინი მათთვის განსაკუთრებით პრობლემატური საკითხების მოგვარებას ითხოვდნენ. (Pesic, 1996: 15).

ნაშრომის მეორე თავში მიმოხილულია ტიტოს გარდაცვალების შემდეგ იუგოსლავიაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები. პირველი ქვეთავი ეხება სერბეთის პოლიტიკური ელიტის გააქტიურებას. სწორედ ეს პერიოდია ერთ-ერთი გარდამტეხი იუგოსლავიის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს არსებობის გზაზე. მეორე ქვეთავში განხილულია ის ვითარება, რაც კოსოვოში შეიქმნა. სერბული უმცირესობის გააქტიურება და სერბების ერთობლივი მოქმედება გადამწყვეტი აღმოჩნდა კოსოვოში შექმნილი პოლიტიკური რეალობის შესაცვლელად. მესამე ქვეთავში მიმოხილულია პროვინციაში სერბების მიზნები. ცხადია მათი მთავარი საზრუნავი კოსოვოში პრივილეგიების დაბრუნება იყო.

ნაშრომის მესამე თავი სერბული ნაციონალიზმის გააქტიურებასა და იუგოსლავიის ერთინობის რღვევის პროცესს მოიცავს. პირველი ქვეთავში სწორედ სერბებში ნაციონალისტური განწყობების მომძლავრებაზეა საუბარი, რამაც შეუქცევადი ხასიათი მიიღო. მეორე ქვეთავი კომუნისტური ლიგისა და მოგვიანებით სერბეთის პრეზიდიუმის პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენას ეხება. ქვეთავში საუბარია იმაზე, თუ როგორ შეძლო მილოშევიჩმა ნაციონალისტური განწყობების გამოყენება პოლიტიკურ იარაღად. მესამე ქვეთავში განხილულია

კოსოვოსა და ვოევოდინას პოლიტიკური სტატუსის ცვლილება და ფედერაციის ბოლო წლები.

მეოთხე თავი ეთმობა ნაშრომის განხილვას თეორიულ ჭრილში. თეორიად შერჩეულია ახალი ინსტიტუციონალიზმი, რომელიც ფოკუსირებულია იმაზე, თუ რა გზით ურთიერთქმედებენ ინსტიტუტები და როგორ ახდენენ გავლენას საზოგადოებაზე.

1. იუგოსლავიის კონსტიტუციური ისტორია

1.1. ტიტოს ხელისუფლების რეფორმები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

იუგოსლავიის სახალხო ფედერაციულმა რესპუბლიკამ, მოგვიანებით იუგოსლავიის სოციალისტურმა ფედერაციულმა რესპუბლიკამ არსებობის მანძილზე სულ 4 კონსტიტუცია მიიღო. პირველი მათგანი 1946 წელსაა მიღებული, მას შემდეგ, რაც დასრულდა მონარქია და ქვეყანას ტიტო ჩაუდგა სათავეში. ხსენებულმა კონსტიტუციამ ფედერაციის წევრ რესპუბლიკებს ფართო ავტონომია უბოძა, თუმცა დოკუმენტში ნათლად იყო დაფიქსირებული, რომ იუგოსლავია ერთი სახელმწიფოსგან შემდგარ ტერიტორიულ სუბიექტს წარმოადგენდა.

მომდევნო 3 კონსტიტუცია მეტ-ნაკლებად ძალაუფლების გადანაწილებაზე იყო ორიენტირებული. 1953 წელს მნიშვნელოვნად შეიცვალა 1946 წლის კონსტიტუცია. დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის გაძლიერებისკენ კიდევ უფრო დიდი ნაბიჯი გადაიდგა 1963 წელს. სოციალისტური რესპუბლიკის ისტორიაში ბოლო კონსტიტუცია 1974 წელს მიიღეს. ხსენებული კონსტიტუცია ამოქმედება იუგოსლავიას ისტორიის გარდამტეხი ნაწილია. სწორედ ამ კონსტიტუციის შედეგად ამოქმედდა წარმომადგენლობითი სისტემა და დაიწყო სწრაფი დეცენტრალიზაციის პროცესი. 1974 წლის კონსტიტუციის მიხედვით, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა წარმოადგენდა ნებაყოფლობით გაერთიანებულ ერთა და რესპუბლიკათა ერთობას. (Bagwell, 1991: 497-503)

იუგოსლავიაში თვითმართველობის გაძლიერებისა და ძალაუფლების გადანაწილების მიმართულებით მნშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა 1960-იანი წლებიდან იწყება. ე. წ. „იუგოსლავიზმის“ (ქვეყანაში დამკვიდრებული პოლიტიკური იდეოლოგიის, რომელიც

სამხრეთ სლავების ერთიანობას გამოხატავდა), მოწინააღმდეგეები პოლიტიკურ ელიტაში მკვეთრად იზრდებოდა. ამ ყველაფერმა ქვეყანა 1963 წლის კონსტიტუციის მიღებამდე მიიყვანა.

ხსენებული კონსტიტუციის შედეგად, იუგოსლავიურმა ფედერალიზმმა ტრანსფორმაცია განიცადა. საბაზისო სოციო-პოლიტიკურ ერთეულად თემი - კომუნა ჩამოყალიბდა. იუგოსლავიის ფედერაცია უკვე აღარ იყო დაფუძნებული უბრალოდ ფედერალურ მთავრობასა და ფედერალურ ქვე-ერთეულებზე. თვითმმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული სოციო-პოლიტიკური გაერთიანებები პოლიტიკური სისტემის მთავარი ელემენტები გახდნენ. კონსტიტუციამ უზრუნველყო რესპუბლიკების განსაზღვრა თვითმმართველ სოციო-პოლიტიკურ გაერთიანებებად, თუმცა საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მათ სუვერენიტეტზე საუბარი დოკუმენტში არ ყოფილა. ტრანსფორმაციის ხსენებული ეტაპის დაგვირგვინება 1964 წელს გამართული მერვე პარტიული კონგრესი იყო. კონგრესზე „იუგოსლავიზმზე“ როგორც იდეოლოგიაზე ოფიციალურად ითქვა უარი.

1963 წლის შემდეგ, იუგოსლავიის კომუნისტთა ლიგაში გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში უთანხმოება წარმოიშვა. ერთი მხარე თვლიდა, რომ რესურსებზე კონტროლი საკუთარ თავზე რესპუბლიკებს უნდა აეღოთ. ამ პოზიციის განსაკუთრებული მხარდამჭერები სლოვენიელები და ხორვატები იყვნენ, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ღარიბ და ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ რეგიონებს, როგორებიც იყვნენ მაკედონია და კოსოვო, მინიმალური სუბსიდირებით უნდა ესარგებლათ. რაც შეეხება მეორე მხარეს, რომელსაც სათავეში სერბები და მონტენეგროელები ედგნენ, მხარს ცენტრალიზებულ მმართველობას უჭერდნენ. საბოლოოდ, ტიტოს მხარდაჭერით, პირველი მხარის პოზიციამ გაიმარჯვა. (Radan, 1998: 192-194).

ტიტოს დამოკიდებულება ცენტრალისტების მიმართ 1964 წელს მკვეთრად შეიცვალა. ამიერიდან, იუგოსლავიის ლიდერი ცენტრალიზაციის მომხრეებს თავის მოწინაღმდეგეებად თვლიდა. მერვე კონგრესზე ტიტოს გამოსვლაში მოულოდნელად ნაციონალიზმთან დაკავშირებულმა საკითხებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს. არადა, თითქოს ეს ყველაფერი მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ უკანა პლანზე იყო გადასული.

ტიტოს პოზიციას იზიარებდა ერთ-ერთი ყველაზე წონიანი პოლიტიკოსი, იმ დროს იუგოსლავიის ფედერალური ასამბლეის პრეზიდენტი ედვარდ კარდელი. კარდელმა 1965 წელს ღიად დააფიქსირა იმის შესახებ, რომ ქვეყანაში აუცილებელი იყო რეფორმის გატარება, რომლის საშუალებითაც გაიზრდებოდა რესპუბლიკების როლი. აქვე, კარდელმა ქვეყნის ხელისუფლებას შესთვაზა რესპუბლიკების სუვერენიტეტის იდეა. ასეთ შემთხვევაში ფედერალური მთავრობის ფუნქციები საგრძნობლად შემცირდებოდა.

1.2. საკონსტიტუციო ცვლილებების ახალი ტალღა

დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის გაძლიერების პარალელურად, ცენტრალიზმისა და ცენტრალიზაციის მომხრეთა ძალაუფლება მცირდებოდა. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა ტიტოს მიერ ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე რანკოვიჩის ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ. ტიტოს გადაწყვეტილების მთავარი მიზეზი ცენტრალიზაციის მომხრეთა მიმართ რანკოვიჩის მხარდაჭერა იყო. გარდა ამისა, მას ჰქონდა ამბიცია გამხდარიყო ტიტოს მემკვიდრე. (Čepič, 2016)

რანკოვიჩის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, იუგოსლავიის კომუნისტთა ლიგის, როგორც გამაერთიანებლის როლი საგრძნობლდ შესუსტდა. რესპუბლიკების პარტიებმა მნიშვნელოვანი ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში. მათი გავლენ გაიზარდა ბელგრდში გაგზავნილ დელეგატებზე.

1960-იანი წლების ბოლოს ნელ-ნელა გააქტიურდა ნაციონალისტური იდეები. ნაციონალური ინტერესები უკვე აღარ მიეკუთვნებოდა წარსულს ჩაბარებულ საკითხს. ეს ყოველივე საპირისპირო იყო იმ პოლიტიკის, რომელიც იუგოსლვიაში 1940-იანი წლების ბოლოს დამკვიდრდა, როდესაც პარტიამ გამოაცხადა, რომ ნაციონალიზმის საკითხი გადაწყდა წარმატებული განმანთავისუფლებელი ბრძოლის შედეგად მეორე მსოფლიო ომის დროს. 1969 წელს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა. იუგოსლავიის სახალხო არმია გარკვეულწილად რესპუბლიკებს დაექვემდებარა. შეიქმნა დამატებითი ტერიტორიული ძალები, რომელთა მართვა რესპუბლიკების კომპეტენციაში შევიდა.

1963 წლის კონსტიტუციაში ძირითადი შესწორებები 1971 წელს შევიდა. ცვლილებები ძირითადად გულისხმობდა ძალაუფლების გადანაწილებას რესპუბლიკებზე. ფედერალური მთავრობის კომპეტენციაში რჩებოდა თავდაცვა, საგარეო საქმეები, საგარეო ვაჭრობა და ეკონომიკის ცალკეული საკითხები. 1971 წლის კონსტიტუციამ რესპუბლიკებს მნიშვნელოვანი უფლებები უბოძა მმართველობის მიმართულებით.

1971 წელს კონსტიტუციაში შეტანილმა ცვლილებების შედეგად რესპუბლიკებმა ფარტო ავტონომია მიიღეს. მიუხედავად ამისა, გატარებულმა რეფორმებმა ვერ შეძლეს ნაციონალისტური განწყობების განეიტრალება. განსაკუთრებით ეს იგრძნობოდა ხორვატიაში. 1971 წლის ე.წ. ხორვატულმა კრიზისის შედეგად, 1941 წლის შემდეგ პირველად გაჩნდა იუგოსლავიის დაშლის საფრთხე. ხორვატია და სხვა რესპუბლიკები დაჟინებით მოითხოვდნენ უფრო მეტი ავტონომიის მინიჭებას. ამ

მოთხოვნებში იკვეთებოდა ნაციონალიზმის ნიშნები, რაც საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის ერთიანობას. ამავდროულად უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სერბები. იუგოსლავიაში გატარებულ რეფორმებში სერბებმა თავიანთი მისამართით სერიოზული საფრთხე დაინახეს. (Radan, 1998: 195-197).

იუგოსლავიის პოლიტიკური ელიტა აცნობიერებდა, რომ ქვყენაში კიდევ რაღაც იყო შესაცვლელი. ტიტო ქვეყნის ერთიანობის განმტკიცებას საკუთარი გავლენით ცდილობდა. ნაციონალისტური განწყობების გასანეიტრალებლად მხოლოდ ტიტოს ავტორიტეტი აღარ იყო საკმარისი. საჭირო იყო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. ტიტოსა და მისი მომხრეების აზრით, ქვეყნის ერთიანობის შესანარჩუნებლად იუგოსლავიაში შემავალი სუბიექტებისთვის უფრო ფართო ავტონომიური სტატუსის განსაზღვრა იყო საჭირო.

ტიტოს და მის თანამოაზრეებს სჯეროდათ, რომ თუ რესპუბლიკებს საშუალება ექნებოდათ დამოუკიდებლად მიეღოთ გადაწყვეტილებების ნაწილი და ამავდროულად წარმომადგენლები ჰყოლოდათ ფედერალური ხელისუფლების წამყვან რგოლში, რაც ქვეყნის მართვაში მათ მეტ ჩართულობას უზრუნველყოფდა, ასეთ შემთხვევაში იუგოსლავიის დაშლის საკითხი არ დადგებოდა დღის წესრიგში. ტიტოს სურვილი იყო, რომ ფედერაცია გარკვეული ფორმებით შენრჩუნებულიყო მისი სიკვიდილის შემდეგ. (MacDonald, 2002)

1.3. 1974 წლის კონსტიტუცია - რესპუბლიკებისა და პროვინციების სტატუსი

1971 წლის შემდეგ, კერძოდ კი მას მერე, რაც 1963 წლის კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა, დღის წესრიგში დადგა ახალი კონსტიტუციის

მიღების საკითხი. 1974 წლის 30-31 იანვარს, ფედერალური ასამბლეის სესიაზე იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია მიიღეს. დოკუმენტი ამავე წლის 21 თებერვალს გამოქვეყნდა. ახალი კონსტიტუცია იყო შედეგი წლების მანძილზე გაწეული შრომისა. ამ ყველაფრის სულისჩამდგმელი კი იუგოსლავიის ლიდერი იოსეპ ბროზ ტიტო იყო. დოკუმენტმა ფაქტობრივად გააერთიანა და დახვეწა ის შესწორებები, რომლებიც 1971 წელს 1963 წლის კონსტიტუციაში შევიდა.

1974 წლის კონსტიტუცია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოცულობითია. იგი შეიცავს 10 საბაზისო დებულებასა და 406 მუხლს. კონსტიტუციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი თვითმმართველობის მიმართულებაა. როგორც არაერთხელ აღვნიშნე, კონსტიტუციის მიზანი ძალაუფლების დეცენტრალიზაცია იყო. ახალი კონსტიტუციის მიხედვით, ფედერალური ასამბლეა საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი შტო იყო (მუხლი 282). ასამბლეა შედგებოდა ფედერალური და რესპუბლიკებისა და პროვინციების პალატებისგან. ფედერალური პალატა 220 დელეგატისგან შედგებოდა, რომლებსაც ირჩევდნენ სათემო ასამბლეები (მუხლები - 284 და 291). რაც შეეხება რესპუბლიკებისა და პროვინციების პალატას, იგი შედგებოდა 88 წევრისგან. წევრებს ირჩევდნენ რესპუბლიკებისა და პროვინციების ასამბლეები ამ ასამბლეების წევრებიდან (მუხლი 292).

კონსტიტუციამ ფედერალურ ასამბლეას რესპუბლიკებისა და პროვინციების წინაშე გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა მიანიჭა. ასამბლეის არჩეული წევრები პასუხისმგებლები იყვნენ რესპუბლიკებისა და ავტონომიური პროვინციების წინაშე. 296 მუხლის მიხედვით, რესპუბლიკებისა და პროვინციების პალატა ანგარიშვალდებული იყო შესამაბის რეგიონულ ასამბლეებთან. გამოდის, რომ იუგოსლავიის უმაღლესი

საკანონმდებლო ორგანო ირიბად იმართებოდა ცალკეული რესპუბლიკებიდან და პროვინციებიდან. (Roberts, 1978: 139-141)

კონსტიტუციის შესავალ წანილში ნათლადა დაფიქსირებული, რომ ყველა ერს აქვს თვითგამორკვევის უფლება, მათ შორის კავშირის დატოვების. შესავალშივე ცალკეა გამოყოფილი ავტონომიური პროვინციები, ამ შემთხვევაში კოსოვო და ვოევოდინა. კონსტიტუცია უზრუნველყოფს სოციალისტურ რესპუბლიკებსა და სოციალისტურ ავტონომიურ პროვინციებში მცხოვრებთა უფლებებს.

კონსტიტუციის პირველივე ნაწილის პირველივე მუხლის მიხედვით, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა შედგებოდა თავიანთი სურვილით გაერთიანებული რესპუბლიკებისა და ავტონომიური პროვინციების ერთობას. მიუხედავად იმისა, რომ იქვე ნათლად იყო მითითებული, რომ კოსოვო და ვოევოდინა სერბეთის სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ, ორივე პროვინცია ხშირად იყო მოხსენიებული სერბეთისგან დამოუკიდებლად.

1974 წლის კონსტიტუციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მე-2 თავის მე-6 ქვეთავი. ამ თავის მიზანი ეროვნული თავდაცვის საკითხების დარეგულირებაა. 239-ე მუხლის მიხედვით, რესპუბლიკებთან ერთად ავტონომიურ პროვინციებსაც ენიჭებათ უფლება საკუთარ ტერიტორიაზე უზრუნველყონ ეროვნული უსაფრთხოება. კონსტიტუციის მიხედვით, სწორედ მათი ვალდებულებაა იუგოსლავიაზე თავდასხმის შემთხვევაში მოემზადონ თავდაცვისთვის.

კოსოვოსა და ვოევოდინას განსაკუთრებული უფლებები მიანიჭა 242-ე მუხლმა. ამ მუხლის მიხედვით, იუგოსლავიის სახალხო არმიაში თანამდებობებზე რესპუბლიკებისა და პროვინციების წარმომადგენლები პროპორციულად უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენლები. ეს იმას ნიშნავდა, რომ სერბეთისგან დამოუკიდებლად, კოსოვოსა

და ვოევოდინას ავტონომიურ პროვინციებსაც ეყოლებოდათ წარმომადგენლები სახალხო არმიაში.

კონსტიტუციის მე-3 თავში, სადაც საუბარია უფლებებსა და მოვალეობებზე ფედერაციაში, ცალკეა გამოყოფილია ავტონომიური პროვინციების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. 257-ე მუხლის მიხედვით, იუგოსლავიის სოციალური პროექტების გარშემო შეთანხმება რესპუბლიკებმა და ავტონომიურმა პროვინციებმა უნდა მიაღწიონ.

საინტერესოა კონსტიტუციის მე-4 თავი, რომელიც ეხება იუგოსლავიის ფედერაციულ მოწყობას. როგორც აღვნიშნე, საკანონმდებლო ორგანოში საკმაოდ გაიზარდა რესპუბლიკებისა და პროვინციების უფლებები. თავის მხრივ, ფედერალურ ასამბლეას საკმაოდ მნიშვნელოვანი უფლებები გააჩნდა. ასამბლეა ძალაუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა. (Constitution of the Socialist Federal Republic of Yugoslavia, 1974)

ფაქტობრივად, ფედერაციის მართვა რესპუბლიკებისა და პროვინციების ხელში გადადიოდა. განსაკუთრებით საყურადღებო იყო ავტონომიური პროვინციების ძალაუფლების ზრდა. ცხადი იყო, რომ ერთი მხრივ ერთმანეთისგან განსხვავებული რესპუბლიკების, ხოლო მეორე მხრივ ავტონომიური პროვინციებისთვის ასეთი გაზრდილი უფლებების მინიჭება გარკვეულ პრობლემებს შექმნიდა.

გამოდიოდა, რომ ბელგრადის გავლენა არამარტო იუგოსლავიაში შემავალ რესპუბლიკებზე მცირდებოდა, არამედ უშუალოდ სერბეთის სოციალისტურ შემადგენლობაში შემავალ ავტონომიურ პროვინციებზე. ბუნებრივია, ასეთი მოცემულობა კატეგორიულად მიუღებელი იქნებოდა სერბებისთვის და საფრთხის შემცველი იუგოსლავიის ერთიანობისთვის, რაც დადასტურდა ტიტოს გარდაცვალების შემდეგ.

1974 წლის კონსტიტუციაში იუგოსლავიაში გატარებული უმნიშვნელოვანესი და ისტორიული რეფორმა განხორციელდა. ტიტო სიცოცხლის ბოლომდე ცხადდებოდა ქვეყნის პრეზიდენტად, ხოლო მისი გარდაცვალების შემთხვევაში, ქვეყანას აღარ ეყოლებოდა ერთპიროვნული მმართველი. ქვეყნის მართვის ფუნქცია პრეზიდიუმის ხელში გადადიოდა, რომლის ხელმძღვანელსაც მაქსიმუმ ორი წლის ვადით აირჩევდნენ. კონსტიტუციის მიხედვით ავტონომიურ პროვინციებს შეეძლოთ წარმომადგენლები პრეზიდიუმშიც ყოლოდათ. ამავდროულად, პრეზიდიუმის პრეზიდენტი თავისუფლად შეიძლებოდა ყოფილიყო კოსოვოს ან ვოევოდინას წარმომადგენელი (მოგვიანებით ასეც მოხდა). (Constitution of the Socialist Federal Republic of Yugoslavia, 1974)

ეს იმას ნიშნავდა, რომ ფაქტიურად ქვეყნის სათავეში ერთნაირად შეეძლოთ ყოფნა რესპუბლიკებისა და პროვინციების წარმომადგენლებს. ამ მიმართულებით ნათლად ჩანდა, რომ კოსოვო და ვოევოდინა სტატუსით უთანაბრდებოდნენ სერბეთს. ბელგრადისგან დამოუკიდებლად შესაძლებელი იყო სერბეთის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური პროვინციის წარმომადგენლის არჩევა იუგოსლავიის პრეზიდიუმის პრეზიდენტად.

რესპუბლიკებსა და ავტონომიურ პროვინციებს თანაბარი უფლებები ენიჭებოდათ სასამართლო ხელისუფლებაშიც. 370-ე მუხლის მიხედვით, ფედერალური სასამართლოს მოსამართლეები სწორედ რესპუბლიკებიდან და პროვინციებიდან მინიჭებული კვოტის შესაბამისად უნდა არჩეულიყვნენ. კონსტიტუციის მიხედვით, პროვინციებს საკუთარი წარმომადგენლები უნდა ჰყოლოდათ საკონსტიტუციო სასამართლოში. თუმცა, ამ შემთხვევაში მცირედი უპირატესობით რესპუბლიკები სარგებლობდნენ, რადგან მათ 2 , ხოლო პროვინციებს 1 წარმომადგენლის ყოლის უფლება ჰქონდათ. (Constitution of the Socialist Federal Republic of Yugoslavia, 1974) რაც

ყველაზე საყურადღებოა, კონსტიტუციამ კოსოვო და ვოევოდინა სერბეთთან მიმართებაში მნიშვნელოვანი უფლებით უზრუნველყო. პროვინციებს შეეძლოთ ვეტოს უფლებით ესარგებლათ სერბეთის კონსტიტუციის ნებისმიერი სახით ცვლილების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე. (Djilas, 1993: 82)

1.4. სერბების დამოკიდებულება საკონსტიტუციო ცვლილებების მიმართ

1960-იანი წლების ბოლოსა და 1970-იანი წლების დასაწყისში იუგოსლავიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებს. ძალაუფლების გადანაწილებასა და თვითმმართველობების გაძლიერებას თითქმის ყველა რესპუბლიკა მიესალმებოდა. თუმცა, ფაქტი იყო, რომ სერბეთის პოლიტიკური ელიტა განსხვავებულად აფასებდა პროცესებს. ბელგრადი ნელ-ნელა კარგავდა გავლენას იუგოსლავიაში შემავალ სუბიექტებზე.

ტიტოს პოლიტიკა სერბებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. თუმცა, იუგოსლავიის ლიდერი შეუვალი იყო და მოწინააღმდეგეებს ქვეყნის მართვის სადავეებს ხელიდან აცლიდა. ჯერ კიდევ კონსტიტუციის მიღებამდე საუბრობდნენ სერბეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიური პროვინციებისთვის უფლებების გაზრდაზე. თუმცა, ის, რაც 1974 წლის კონსტიტუციამ დაადგინა, ბელგრადისთვის საკმაოდ მძიმე აღსაქმელი აღმოჩნდა.

კონსტიტუციამ ავტონომიურ რესპუბლიკებს საკუთარი კონსტიტუციები დაუდგინა. ამ კონსტიტუციებით ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური საკითხები სერბეთის კონსტიტუციისგან დამოუკიდებლად რეგულირდებოდა. ამის

შედეგად შეიქმნა ვითარება, სადაც სერბეთი ფაქტიურად ვეღარ აკონტროლებდა კოსოვოსა და ვოევოდინას, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ამ კონსტიტუციის მიხედვით ორივე ავტონომიური პროვინცია სერბეთის სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდნენ. კონსტიტუციური ცვლილებებით კმაყოფილნი არც სერბეთის კომუნისტური პარტიის ლიდერები და არც რესპუბლიკის ინტელიგენცია იყო.

იმის გამო, რომ კონსტიტუციამ კოსოვოსა და ვოევოდინას ავტონომიური სტატუსი განსაზღვრა, სერბეთმა გარკვეულწილად დაკარგა ამ ორ რეგიონზე კონტროლი. მაკდონალდი აღნიშნავს, რომ ახალმა კონსტიტუციამ უკმაყოფილება გამოიწვია სერბებში. სერბებს მიაჩნდათ, რომ სახელმწიფოს უზენაესი კანონი, მათთვის სერიოზული პრობლემების საფუძველი გახდებოდა. გარდა ამისა, სერბებს შორის გაჩნდა იმის განცდა, რომ ისინი დაუცველები იქნებოდნენ სხვა რესპუბლიკებში. ამავდროულად კოსოვოზე გავლენის შემცირებამ, სერბებში შემდეგი ფრაზა გახადა აქტუალური: „გამარჯვებულები ომში, დამარცხებულები მშვიდობაში“ (‘Winners in war, losers in peace’) (MacDonald, 2003: 190-191).

1972 წლამდე პოლიტიკურ ველზე სერბეთი წარმოდგენილი იყო რეფორმატორებით, რომლებსაც არ ჰქონდათ რაიმე მოტივი წინააღმდეგობა გაეწიათ პოლიტიკური ცვლილებებისთვის, განსაკუთრებით რესპუბლიკების სუვერენიტეტის ზრდის მიმართულებით გასატარებელი რეფორმებისთვის. ამ ფონზე ისინი მხარს უჭერდნენ იუგოსლავიაში ძალაუფლების გადანაწილებისა და თვითმმართველობის გაძლიერებისკენ განხორციელებულ ცვლილებებს. თუმცა, აშკარად იგრძნობოდა გაორებული გრძნობა. მაშინ, როდესაც იზრდებოდა რესპუბლიკების უფლებები, ამავდროულად სტატუსი უმაღლდებოდათ ავტონომიურ პროვინციებს. მიუხედავად ამისა, სერბი პოლიტიკოსები რადიკალურ ნაბიჯებს არ დგამდნენ.

გაცილებით კრიტიკულები იყვნენ სერბი კონსტიტუციონალისტები და სამართალმცოდნეები. 1970-იანი წლების დასაწყისში, ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებს. მათი პოზიცია არ იყო ანტი იუგოსლავური ან პრო სერბული. ისინი ერთიანი, მტკიცე ფედერაციის მომხრენი იყვნენ. მათი მტკიცებით, საკონსტიტუციო ცვლილებები კატეგორიულად ეწინამღდეგებოდა სერბულ ინტერესებს.

1971 წელს ბელგრადის უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას სერბულ ინტელექტუალურ ელიტაში საკმაოდ გავლენიანმა ფილოსოფოსმა მიჰაილო დურიჩმა გააკრიტიკა იუგოსლავიაში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებები. მან აღნიშნა, რომ ქვეყნის სწრაფი და რადიკალური დეცენტრალიზაციის პროცესი საფრთხეს წარმოადგენდა სერბეთს გარეთ მცხოვრები სერბებისთვის. დურიჩის გამოსვლაში ნათლად იკვეთებოდა სერბული ნაციონალიზმის ნარატივი. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ გარდა სერბეთის სოციალისტური რესპუბლიკისა, სერბები სვა რესპუბლიკებშიც მრავლად ცხოვრობდნენ. დურიჩი მიანიშნებდა იმას, რომ თუკი დღის წესრიგში დადგებოდა სერბეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის საკითხი, აუცლებლად უნდა შეცვლილიყო საზღვრები და ქვეყნის შემადგენლობაში შემოსულიყო სერბებით დასახლებული ტერიტორიები.

დურიჩის გამოსვლა გარკვეულწილად მე-19 საუკუნის სერბული ნაციონალიზმის გამოძახილი იყო, რომლის მიხედვითაც სერბეთი უნდა გაერთიანებულიყო. დურიჩსა და მის მომხრეებს ხელისუფლების მისამართით რამდენიმე მნიშვნელოვანი შეკითხვა ჰქონდათ:

1. რამდენად შესწევდა დეცენტრალიზაციას ძალა თანაბრად დაეცვა იუგოსლაველი ხალხის უფლებები?

2. როგორ დაიცავდა კონსტიტუცია სერბების უფლებებს სერბეთის სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ?
3. არსებობდა თუ არა კონსტიტუციური ინსტრუმენტები, რომლებიც დაარეგულირედბენ ურთიერთობებს სერბეთსა და მის პროვინციებს შორის?
4. როგორ უნდა ემართათ იუგოსლავია ეფექტურად, მაშინ როდესაც უმნიშვნელოვანესი საკითხები ფედერალურ დონეზე უნდა გადაწყვეტილიყო კონსენსუსის გზით, იმ ვითარებაში, სადაც რესპუბლიკებსა და პროვინციებს ვეტოს უფლება ჰქონდათ?

ტიტოს ხელისუფლებისთვის მოსახლეობაში მსგავსი სახის განწყობების განვითარება სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა. ცხადი იყო, რომ სერბული პოლიტიკური ელიტა საზოგადოებასთან ერთად კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის ამ სახით მოწყობას. შედეგად, მიჰაილო დურიჩი დააპატიმრეს, ხოლო ჟურნალი, რომელშიც მისი მოწოდებები იბეჭდებოდა, აკრძალეს. (Guzina, 2003: 95-98)

ამასთან ერთად, სერბებს უკვე ახალი საზრუნავი გაუჩნდათ. კონსტიტუციამ ფაქტიურად საფუძველი გამოაცალა სერბეთის ტერიტორულ მთლიანობას. როგორც არაერთხელ აღინიშნა, ფედერალურ დონეზე პროვინციებმა მიიღეს ვეტოს უფლება, წარმომადგნელობა იუგოსლავიის პრეზიდიუმში და უფლება, რომ სერბეთთან შეთანხმების გარეშე გაეჟღერებინათ თავინთი ინტერესები. ეს ინტერესები კი ხშირად ეწინააღმდეგებოდა სერბების ინტერესებს. ფედერალურ დონეზე სერბეთის წარმომადგნელობა მოიცავდა სერბეთის ტეროტირიას კოსოვოსა და ვოევოდინას ტერიტორიების გარეშე. ეთნო-დემოგრაფიული თვალსაზრისით, ეს იმას ნიშნავდა, რომ სერბეთის წარმომადგენლები წარმოადგენდნენ სერბეთში მცხოვრები სერბების მხოლოდ 42 %-ს. (Pesic, 1996: 14-15).

1.5. სერბეთის პოლიტიკური ელიტის მცდელობები

1974 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ, სერბეთის პოლიტიკურ ელიტას არაერთხელ ჰქონდა მცდელობა შეეცვალა სერბეთის რესპუბლიკის სტატუსი. თუმცა, კონსტიტუციით დადგენილი პოლიტიკური მოწყობის ცვლილება მხოლოდ რესპუბლიკებისა და ავტონომიური პროვინციების შეთანხმების საფუძველზე იყო შესაძლებელი. იუგოსლავიაში შემავალმა სუბიექტებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და სერბეთის სტატუსი შეუცვლელი დარჩა. 1976 წელს, სერბეთის პოლიტიკურმა ლიდერებმა შედგინეს დოკუმენტი, ე. წ. „ლურჯი წიგნი“, რომელშიც ითხოვდნენ მათთვის პრობლემატური საკითხების მოგვარებას, მათ შორის ავტონომიურ პროვინციებთან მიმართებაში. დოკუმენტი მიუღებელი აღმოჩნდა სხვა რესპუბლიკებისთვის და კატეგორიულად მიუღებელი კოსოვოსა და ვოევოდინასთვის. (Pesic, 1996: 15).

ახალი კონსტიტუციის მიმართ სერბების უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად ტიტოს ხელისუფლება შეუვალი იყო. ბუნებრივია, მაშინ, როდესაც დოკუმენტში ყველა სხვა რესპუბლიკის უფლება სერბების უფლებებზე მაღლა იდგა, გასაკვირი არაა, რომ სერბებში ნაციონალისტური გრძნობები გააქტიურდა. პოლიტიკური მოწყობა, რომელიც იუგოსლვიის კონსტიტუციამ დაადგინა, საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის ერთიანობას. შესაბამისად საფრთხე ექმნებოდა სერბების მიზანს - ყველა სერბი ერთ სახელმწიფოში.

ნათელი იყო, რომ სერბების მოთხოვნებს არავინ ითვალისწინებდა. სერბეთს უკვე ფაქტობრივად ყველა ბერკეტი დაკარგული ჰქონდა არამხოლოდ სხვა რესპუბლიკებზე, არამედ უშუალოდ სერბეთის შემადგელობაში შემავალ პროვინციებზე. არადა იუგოსლავია სერბებისთვის წარმოადგენდა სახელმწიფოს,

რომელიც ბელგრადიდან იმართებოდა და სერბეთის პოლიტიკური ელიტა ყველა სხვაზე მღლა იდგა. ტიტოს მმართველობამ კი მათ დომინაციას წერტილი დაუსვა.

გამომდინარე იქიდან, რომ ტიტო ერთპიროვნული მმართველი იყო, ის აქტიურად უპირისპირდებოდა მისი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ სკონსტიტუციო ცვლილებების მოწინააღმდეგეებს. სერბებისთვის საკმაოდ საფრთხილო იყო ტიტოს ავტორიტეტი, მითუმეტეს იმ ფონზე, რომ რესპუბლიკები და ავტონომიური პროვინციებისთვის მეტ-ნაკლებად მისაღები იყო კონსტიტუციაში შესული ცვლილებები. ამიტომ, ასეთ ვითარებაში, სადაც იუგოსლავიაში შემვალ რესპუბლიკებს, გარდა სერბეთისა, ზურგს უმაგრებდა ტიტო, სერბეთის პოლიტიკური ელიტა ვერ რისკავდა მკვეთრი ნაბიჯების გადადგმას.

2. ვითარება იუგოსლავიაში ტიტოს გარდაცვალების შემდეგ

2.1. სერბეთის პოლიტიკური ელიტის გააქტიურება

ტიტოს გარდაცვალების შემდეგ ვითარება იუგოსლავიაში რადიკალურად შეიცვალა. ამოქმედდა 1974 წლის კონსტიტუციაში შესული ცვლილება - გაუქმდა იუგოსლავიის პრეზიდენტის თანამდებობა და ამოქმედდა პრეზიდიუმი, რომელსაც სათავეში პრეზიდიუმის პრეზიდენტი ჩაუდგა. იუგოსლავიას აღარ ჰყავდა ერთპიროვნული ლიდერი და ქვეყნის ერთიანობის გარანტი. იმჟამინდელი კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ქვეყნის პოლიტიკური მოწყობა ტიტოს გარეშე სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა იუგოსლავიის ერთიანობას.

როგორც უკვე აღინიშნა, სერბეთის პოლიტიკურ ელიტას მკვეთრი ნაბიჯების გადადგმისკენ ტიტოს ფაქტორი აბრკოლებდა. 1980-იან წლებში კი სერბებში გააქტიურებულმა ნაციონალისტურმა გრძნობებმა წინა პლანზე გადმოინაცვლა. ცხადი იყო, რომ სერბები არ შეეგუებოდნენ იმ პოლიტიკურ ვითარებას, რაც 1974 წლის კონსტიტუციით შეიქმნა და რომელშიც სერბული მხარე ყველაზე დაჩაგრულად გრძნობდა თავს.

ტიტო თავისი მმართველობის პერიოდში წარმატებულად იბრძოდა სერბული ნაციონალიზმის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ სერბების დიდი ნაწილი ტიტოს მიერ ჩამოყალიბებულ კომუნისტურ სისტემას ემხრობოდა, ზოგიერთი ასპექტი მათთვის მიუღებელი იყო. ტიტოს გარდაცვალებამ კი ფედერალური ცენტრის დონეზე ძალაუფლების ვაკუუმი შემქნა. ეს ვაკუუმი მოგვიანებით იუგოსლავიის შემადგენელი რესპუბლიკების ნაციონალისტურმა მისწრაფებებმა შეავსო. (MacDonald, 2002: 64)

ამ პერიოდში სერბეთის პრემიერ-მინისტრი ივან სტამბოლიჩი იყო. სწორედ სტამბოლიჩი ედგა სათავეში სერბულ პოლიტიკურ ელიტას, რომელიც ცდილობდა არსებული რეალობის შეცვლას. სერბების მიზანს კოსოვოსა და ვოევოდინასთან მიმართებაში სერბეთის სტატუსის შეცვლა წარმოადგენდა. ამ მიზნის მისაღწევად კი საჭიროდ თვლიდნენ ფედერაციის შემდგენლობაში მყოფ სხვა რესპუბლიკებთან შეთანხმების მიღწევას. ამ ვითარებაში კონსტიტუციის შესაცვლელად პრო-სერბული კოალიციის შექმნა დადგა დღის წესრიგში. სერბეთის პოზიციას არ იზიარებდნენ იუგოსლავიაში შემავალი სხვა რესპუბლიკები. შესაბამისად, სერბული მხარე რესპუბლიკის შიგნით არსებული პრობლემების წინაშე სრულიად მარტო აღმოჩნდა. (Pesic, 1996: 15)

ასეთ ვითარებაში ცხადი იყო, რომ სერბული ნაციონალიზმის გააქტიურებას წინ ვეღარაფერი აღუდგებოდა. სერბებს ფაქტობრივად დაკარგული ჰქონდათ კონტროლი რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალ პროვინციებზე. მათ მთავარ მიზანს ამ რეგიონებზე კონტროლის დაბრუნება წარმოადგენდა, რაც ან კანონიერი გზით უნდა მომხდარიყო, რაც გულისხმობდა კონსტიტუციის ცვლილებას, ან ძალის გამოყენებით, რაც იუგოსლავიის ერთიანობას სერიოზული საფრთის წინაშე დააყენებდა.

2.2. პოლიტიკური ვითარება კოსოვოში

სერბების გააქტიურების პარალელურად, რადიკალურად განსხვავებული გეგმები ჰქონდთ კოსოვოში. 1970-იან წლებში, განსაკუთრებით კი 1974 წლის კონსტიტუციის ამოქმედების შემდეგ, სერბული უმცირესობის როლი კოსოვოში საკმაოდ უმნიშვნელო

გახდა. სამაგიეროდ, პრივილეგიებით სარგებლობდნენ ალბანელები. თუკი მანამდე რეგიონში სერბების მზარდი გავლენა იგრძნობოდა, 1970-იანი წლებსა და 1980-იანი წლების დასაწყისში, ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ასპარეზზე ალბანელებმა დაიკავეს წამყვანი პოზიციები. შედეგად, სერბების უკმაყოფილება და დაუცველობის გრძნობა, რომლებმაც 1970-იან წლებში დაისადგურეს კოსოვოს რეგიონში, რასაც ემატებოდა ალბანელების მხრიდან გამოვლენილი აგრესია, სერბული უმცირესობა ნელ-ნელა ტოვებდა კოსოვოს ტერიტორიას. (Nikolić, 1998: 13)

ტიტოს გარდაცვალების შემდეგ, კოსოვოში მალევე დაიწყო მასშტაბური დემონსტრაციები. დემონსტრაციები თავდაპირველად სტუდენტების ორგანიზებული იყო. მათი მოთხოვნები საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ეხებოდა. ეს ყველაფერი პირდაპირ კავშირში იყო სერბულ უმცირესობასთან, რადგან პრიშტინას უნივერსიტეტში ალბანელებთან ერთად სერბი სტუდენტებიც სწავლობდნენ. დემონსტრანტების რეალური მოთხოვნები მალევე გახდა ცხადი. მათ მთავარ მიზანს კოსოვოსთვის რესპუბლიკის სტატუსის მინიჭება წარმოადგენდა. (Rogel, 2003: 167-168)

კოსოვოში ეს მოთხოვნები უსაფუძვლოდ ნამდვილად არ გაჩენილა. რომ არა 1974 წლის კონსტიტუციით გაზრდილი უფლებები, დღის წესრიგში სრულიად განსხვავებული მიზნები დადგებოდა. კონსტიტუციით მინიჭებულმა უფლებებმა კოსოვოელებში კიდევ უფრო მეტი პრეტენზიის საფუძველი შექმნა. თუკი მანამდე, კოსოვოს სტატუსი რესპუბლიკებთან მიახლოებული იყო, თუმცა ავტონომიური პროვინციის სტატუსით სერბეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა, ამიერიდან კოსოვოელთა მოთხოვნა მდგომარეობდა იმაში, რომ რეგიონს რესპუბლიკის სტატუსი მიეღო, რაც მისი სერბეთის შემადგენლობიდან გამოსვლას ნიშნავდა.

ბუნებრივია მოვლენების ასეთი განვითარება კატეგორიულად მიუღებელი იყო სერბეთისთვის. იქმნებოდა მოლოდინი, რომ ისედაც გააქტიურებული სერბული

ნაციონალიზმი კიდევ უფრო გაამწვავებდა იუგოსლავიაში შექმნილ ვითარებას. ამას ისიც ემატებოდა, რომ ტიტოს გარდაცვალების შემდეგ, სერბული პოლიტიკური ელიტა ძლიერდებოდა, რაც ფედერალურ დონეზეც აისახა. შესაბამისად, ბელგრადს გაცილებით მეტი რესურსი ჰქონდა რესპუბლიკის წინაშე არსებული პრობლემების მოსაგვარებლად.

კოსოვოში არსებული დესტაბილიზაციის საპასუხოდ, ფედერალურმა მთავრობამ რეგიონში სამხედრო დანაყოფების გაგზავნა გადაწყვიტა. შედეგად, კოსოვოში მასშტაბურ ძალადობის ფაქტები გამოვლინდა. სამართალდამცავებმა ასობით დემონსტრანტი დააკავეს კონტრრევოლუციური ქმედებების ბრალდებით. სერბული პოლიტიკური ელიტა უმკაცრესი ზომების გატარების მომხრე იყო. ცენტრალური ხელისუფლების ქმედებებს ზურგს სერბები უმაგრებდნენ. მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად, კოსოვოში მცხოვრები ალბანელები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ეს იყო სერბების პირველი მასშტაბური რევანში მიმართული ავტონომიური პროვინციის წინააღმდეგ. სამთავრობო ძალები სასტიკად გაუსწორდნენ დემონსტრანტებს. შეტაკებებმა რამდენიმე დემონსტრანტის სიცოცხლე იმსხვერპლა. სამართალდამცავებმა ასეულობით ადამიანი დააკავეს. დასავლეთში კოსოვოს მოვლენები მკაცრად დაიგმო. რეგიონში არსებული ვითარება აპართეიდად შეფასდა. (Rogel, 2003: 168)

2.3. სერბების მიზნები კოსოვოს ავტონომიურ პროვინციაში

კოსოვოს მოვლენებში მთავარი როლი კოსოვოში მცხოვრებ სერბებს მიუძღვოდათ. მათი მთავარი დასაყრდენი სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესია და

ინტელიგენცია იყო. მათი მიზნები პირდაპირ კავშირში იყო კონსტიტუციის ცვლილებასთან, რომელსაც უნდა უზრუნველყო ერთიანი სერბეთის ჩამოყალიბება. მიუხედავად ამისა, მათ მთავარ მიზანს კოსოვოში ეთნიკური მდგომარეობის შეცვლა წარმოადგენდა. მათთვის „სერბული ტრაგედია“ კოსოვოში წარმოადგენდა ალბანელების მიერ რეგიონში კონტროლის მოპოვებას, რომელიც უზრუნველყო 1974 წლის კონსტიტუციამ. სერბებისთვის მათი დევნის შესაჩერებლად ერთადერთ გზას კოსოვოში სერბული დომინაციის აღდგენა წარმოადგენდა. (Pesic, 1996: 16)

სერბები უკვე ღიად უპირისპირდებოდნენ კოსოვოს არასერბ მოსახლეობას. ბელგრადს უკვე არანაირი ბარიერი აკავებდა ძალადობრივი მეთოდებით აღედგინა კონტროლი ავტონომიურ პროვინციაზე. ფაქტობრივად, მომავალი კოსოვოს პოლიტიკური სტატუსისა და დამოუკიდებლობის ხარისხისა, რაც პროვინციამ 1974 წლის კონსტიტუციის შედეგად მიიღო, უკვე სერბული მხარის ხელში იყო.

პროცესები ისე ვითარდებოდა, ცხადი იყო, რომ ბელგრადი აქტიურად ეცდებოდა იუგოსლავიის მართვის სადავეების დაბრუნებას. სხვა რესპუბლიკებში სერბების მიმართ არსებული დამოკიდებულებიდან გამომდინარე ქვეყანის ერთიანობის მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა. სერბებში მოძლიერებული ნაციონალისტური განწყობები, რაც მეტწილად გამოწვეული იყო ტიტოს მმართველობის პერიოდში რესპუბლიკის შემდგენლობაში შემავალი ავტონომიურ პროვინციებზე გავლენის მკვეთრად შემცირებით, იუგოსლავიის პოლიტიკურ სტაბილურობას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა, რაც პირდაპირ კავშირში იყო კონფედერაციის მომავალთან.

კოსოვოში მიმდინaრე მოვლენებს განსხვავებულად აფასებდნენ სხვადასხვა რესპუბლიკაში. თუკი სერბები კოსოვოელ ალბანელებს სერბული უმცირესობის დევნაში ადანაშაულებდნენ, სლოვენიელები და ხორვატები მხარს უჭერდნენ ალბანურ ნაციონალისტურ მოძრაობას. სლოვენიელების აზრით, კოსოვოს მოვლენებში

მთავარი დამნაშავე სერბული ნაციონალიზმი იყო. კიდევ უფრო რადიკალური დამოკიდებულება ჰქონდათ ალბანელებს. ისინი თვლიდნენ, რომ ალბანელების წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა პოლიტიკურ ტერორს და სერბების მიზანს წარმოადგენდა ალბანური ეთნოსის განდევნა კოსოვოს ავტონომიური პროვინციიდან. ამ ყველაფერს სერბები ღია აგრესიით, რეპრესიებით, პროპაგანდითა და მცდარი ინფორმაციის გავრცელებით უპირისპირდებოდნენ. (Pesic, 1996: 16-17)

სერბული პასუხი კოსოვოს მოვლენების მიმართ იყო იმ დაგროვილი რევანშისტული განწყობების გამოვლინება, რომელსაც სერბები დიდი ხნის განმავლობაში ერიდებოდნენ. სტუდენტური დემონსტრაციები ბიძგი და ახალი მიზეზი აღმოჩნდა სერბების მხრიდან გამოვლენილი ძალადობისა. ტიტოს გარეშე, კი მათ მიერ დასახული მიზნების განხორციელება ბევრად გამარტივდა. სერბების ნაციონალისტური გამოცოცხლება, რომელიც ნათლად კოსოვოს მოვლენების დაწყების შემდეგ გამოჩნდა, მედისა სივრცესა და ყოველდღიურ ცხოვრებაში მკაფიოდ გამოიხატა. 100 000 სერბი შეიკრიბა სერბეთის ყოფილი ვიცე პრეზიდენტისა და 1945-1966 წლებში იუგოსლავიის შინაგან საქმეთა მინისტრის, ალექსანდრ რანკოვიჩის დაკრძალვაზე. რანკოვიჩი ტიტოს დეცენტრალიზაციის პოლიტიკის ერთ-ერთი მოწინააღმდეგე იყო, რომელიც იუგოსლავიის მმართველმა ხელისუფლებას ჩამოაშორა. პარალელურად, ბელგრადში ისმოდა მოწოდებები: “Let’s Go to Kosovo” („გავემართოთ კოსოვოსკენ“). ეს იყო მხარდაჭერა იმ მიზნისა, რაც გულისმობდა მეტი სერბის დასახლებას კოსოვოში რათა განმტკიცებულიყო რეგიონში სერბული გავლენა. ეს ყველაფერი კი ნიშნავდა იმას, რომ სერბები აღარ იქნებოდნენ ტიტოს მიერ განხორციელებული პოლიტიკის მსხვერპლნი, ტიტოს პოლიტიკა რადიკალურად შეიცვლებოდა, ხოლო ალბანელების უფლებები, რომლებიც მათ 1974 წლის კონსტიტუციით მიიღეს, ამიერიდან ჩამოერთმეოდათ. (Rogel, 2003: 168)

3. სერბული ნაციონალიზმი და იუგოსლავიის დასასრული

3.1. სერბული ნაციონალიზმი 1980-იან წლების დასაწყისში

1980-იანი წლები იუგოსლავიის კონფედერაციისთვის უმძიმესი გამოდგა. ეკონომიკურმა კრიზისმა და შიდა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ გააჩინა სტატუს-კვოს შეცვლის მოლოდინი. იუგოსლავიის ხელისუფლების მიერ დღის წესრიგში კონსტიტუციის შეცვლის საკითხის დაყენება ნიშნავდა იმის აღიარებას, რომ 1974 წლის კონსტიტუცია ქვეყნის ერთიანობას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. სერბული პოლიტიკური ელიტა, რომელიც ნელ-ნელა იბრუნებდა გავლენას ფედერალურ ხელისუფლებაში, ახალ გზებს ეძებდა ერთი მხრივ პოლიტიკური ვითარებას შესაცვლელად, ხოლო მეორე მხრივ იუგოსლავიის ერთიანობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის.

მიუხედავად ამისა, კოსოვო და ვოევოდინა კვლავ სერბეთისგან დამოუკიდებლად აგრძელებდნენ თავიანთი პოლიტიკის გატარებას. ბელგრადს საერთოდ დაკარგული ჰქონდა კონტროლი სხვა რესპუბლიკებზე. სლოვენია და ხორვატია, რომლებიც ეკონომიკური თვალსაზრისით შედარებით უკეთეს პოზიციაში იყვნენ, უარს ამბობდნენ საკუთარი რესურსების გაზიარებაზე. ამ სიტუაციაში, კოსოვომ და ვოევოდინამ კიდევ ერთხელ გამოიყენეს კონსტიტუციური უფლება და სერბეთთან შეუთანხმებლად სხვა რესპუბლიკებთან დაამყარეს მჭიდრო კავშირი. (D'Souza, 1994: 3029)

სერბეთი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა თამაშგარე მდგომარეობაში. სერბული ნაციონალიზმი კიდევ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. პოლიტიკოსებთან ერთად, სერბული მიზნების სისრულეში მოყვანის პროცესში აკადემიური წრეებიც გააქტიურდნენ. სერბულ ნაციონალიზმს კიდევ უფრო ამძაფრებდა კოსოვოს

მოვლენები. პროცესში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა მასმედია. ამ კუთხით მნიშვნელოვანი გამოდგა 2 ინციდენტი. 1985 წელს, კოსოვოში მცხოვრებმა სერბმა ფერმერმა ორ ალბანელს მასზე განხორციელებულ სექსუალურ ძალადობაში დასდო ბრალი. 1987 წელს კი, ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ალბანელმა წვევამდელმა ოთხი ადამიანი, მათ შორის ერთი სერბი მოკლა. მედიამ ეს შემთხვევა შეაფასა როგორც მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, რომელიც სერბული უმცირესობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს ყველაფერი ანტი-ალბანური განწყობების გააქტიურებას უწყობდა ხელს. (Rogel, 2003: 168)

როგორ აღვნიშნე, იუგოსლავიაში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა განსაკუთრებულად შეაღწიეს ინტელექტუალთა წრეში. სერბი ინტელექტუალების მიერ შემუშავდა უამრავი დოკუმენტი, რომელთა შინაარსიც არსებული პოლიტიკური რეალობის შეცვლა იყო. იმ პერიოდში სერბული ნაციონალიზმის მხარდამჭერ ერთ-ერთ პირველ მნიშვნელოვან პეტიციას 212-მა სერბმა ინტელექტუალმა მოაწერა ხელი. ინტელექტუალები ამ პეტიციით, რომლის მთავარი გამოძახილი კოსოვოში სერბების დევნის შეჩერება იყო, იუგოსლავიისა და სერბეთის პარლამენტს მოუწოდებდნენ შესაბამისი რეაგირებისკენ. პეტიციის მთავარი ინიციატორი აკადემიურ სფეროში სერბული ნაციონალიზმის ცენტრი - სერბეთის მეცნიერების და ხელოვნების აკადემია იყო, რომელიც მწერალთა კავშირთან ერთად მოქმედებდა. ინტელექტუალები რადიკალური ქმედებების მომხრენი იყვნენ. ისინი თვლიდნენ, რომ კოსოვოში სერბებზე ძალადობის ერთადერთი შემაჩერებელი მექანიზმი რეგიონზე სრული კონტროლის აღება იყო. (Križan, 1994: 56-57)

3.2. სლობოდან მილოშევიჩი - სერბი ნაციონალისტების ახალი ლიდერი

1986 წელს, სერბეთის კომუნისტური ლიგის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი გახდა. მილოშევიჩი მალევე იქცა სერბული ნაციონალიზმის მამოძრავებელ ფიგურად. ამ პერიოდში სერბული ინტელიგენციას მცირე გავლენა ჰქონდა საზოგადოებაზე. მილოშევიჩმა შეძლო და ერთმანეთს მჭიდროდ დააკავშირა ინტელიგენციაში მომძლავრებული ნაციონალიზმი და საზოგადოების დანარჩენ ნაწილში არსებული პოპულისტური განწყობები. შედეგად, ინტელიგენციამ საკუთარი ნაციონალისტური იდეების განსახორციელებლად მასების მხარდაჭერა მიიღო, ხოლო საზოგადოებამ, რომელშიც პოპულიზმი მძვინვარებდა, მიიღო ძლიერი იდეოლოგია, რომელიც იქცა ნაციონალისტურ პოპულიზმად. ამ გზით, მილოშევიჩი კიდევ უფრო წონიანი პოლიტიკური ფიგურა გახდა და მისი ძალაუფლება საგრძნობლად გაიზარდა. (Nikolić, 1998: 14-15)

მილოშევიჩის სახით სერბეთის პოლიტიკურ ელიტას სათავეში ჩაუდგა სერბების ინტერესების დამცველი. სერბული საზოგადოება სწორედ მილოშევიჩს მიიჩნევდა ფიგურად, რომელსაც შეეძლო სერბეთისთვის აღედგინა დაკარგული პოლიტიკური სტატუსი და გავლენა. კომუნისტური ლიგის ახალი პრეზიდენტის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენით სერბული ნაციონალიზმი ახლ ეტაპზე გადადიოდა. როგორც იქნა სერბეთში გამოჩნდა პოლიტიკოსი, რომელსაც შეეძლო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა რესპუბლიკის პრობლემების მოსგვარებლად.

სლობოდან მილოშევიჩის ამბიციები გამხდარიყო ტიტოს მსგავსი ლიდერი, შექმნილი რეალობიდან გამომდინარე ფაქტობრივად შეუძლებელია იყო. იუგოსლავიის ახალ ინსტიტუციურ სტრუქტურაში ნიშა, რომელიც ტიტოს ჰქონდა დაკავებული, 1974 წლის კონსტიტუციის ამოქმედების შედეგად საერთოდ გაქრა. მილოშევიჩი არ ემხრობოდა

დეცენტრალიზაციის იდეას და კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა 1974 წლის კონსტიტუციას. მილოშევიჩის მცდელობები ანტიკონსტიტუციური იყო. მას რჩებოდა ერთადერთი შანსი - შეეცვალა კონსტიტუცია, რაც ფაქტობრივად წარმოუდგენელი იყო. მილოშევიჩს არ ჰქონდა ის ავტორიტეტი, რაც ტიტოს. ამავდროულად ის ასოცირდებოდა მხოლოდ სერბული ეთნოსის წარმომადგენლად, ამიტომ მისი, როგორც იუგოსლავიის უზენაეს მმართველად ჩამოყალიბება ილუზიის სფეროს წარმოადგენდა. (Jovic, 2009: 272-275)

ბუნებრივია, მილოშევიჩი თავადაც აცნობიერებდა, რომ სერბეთი, როგორც იუგოსლავიის ლიდერი და წამყვანი რესპუბლიკა აღარ არსებობდა და ეს ყოველივე მეტწილად 1974 წლის კონსტიტუციით იყო განპირობებული. გარდა ამისა, მისთვის უმთავრეს პრობლემას ავტონომიურ პროვინციებში შექმნილი ვითარება წარმოადგენდა. ნელ-ნელა ნათელი გახდა, რომ კოსოვოსა და ვოევოდინას პრობლემის მოგვრება უმტკივნეულოდ არ ჩაივლიდა. შესაბამისად გასაკვირი არ იყო, რომ მილოშევიჩი, რომელიც განსაკუთრებული მხარდაჭერით სარგებლობდა სერბულ საზოგადოებაში, მათ შორის კოსოვოში მცხოვრებ სერბებში, ნებისმიერი გზით, მათ შორის რადიკალური მეთოდებით შეეცდებოდა რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას.

ამ პერიოდში სერბეთში მთელი ძალაუფლება მილოშევიჩმა ჩაიგდო ხელში. ცხადი იყო, რომ მისი პოლიტიკის მთავარი მიმართულება სერბეთის ინტერესების დაცვა ხდებოდა. მილოშევიჩმა კონსტიტუციის გვერდის ავლითა და დემოკრატიული პრინციპების დარღვევით შეცვალა პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობა არამხოლოდ ვოევოდინასა და კოსოვოს ავტონომიურ რესპუბლიკებში, არამედ მონტენეგროშიც კი. ეს ფაქტობრივად იუგოსლავიის ფედერაციის დასასრულის დასაწყისს ნიშნავდა. (Nikolić, 1994: 15)

მილოშევიჩმა საკმაოდ ჭკვიანურად გამოიყენა საზოგადოებისა და ინტელექტუალების მხარდაჭერა. მისმა განცხადებებებმა და ქმედებებმა ვოევოდინასა და კოსოვოში მცხოვრები სერბების კიდევ უფრო გააქტიურება გამოიწვია. მოლოშევიჩს მყარი საფუძველი სჭირდებოდა იმისთვის, რომ აღედგინა სრული კონტროლი ავტონომიურ პროვინციებზე. ეს მყარი საფუძველი მისთვის სერბებში მომძლავრებული განწყობები იყო, რაც ფართომასშტაბიანი დემონსტრაციებით გამოიხატებოდა. მილოშევიჩს თავისი მიზნების განსახორციელებლად ძალიან დაეხმარა კოსოვოსა და ვოევოდინაში გამართული აქციები. კოსოვოს პოლიტიკური ელიტის დასამრცხებლად, მას ზურგს უმაგრებდა კოსოვოს სერბი საზოგადოება და ინტელიგენცია, რომელთა კონსოლიდაცია სერბეთის მიზნების სისრულეში მოსაყვანად გადამწყვეტი გამოდგა. (Ingrao & Emmert, 2010: 68-74)

3.3. კოსოვოსა და ვოევოდინას ავტონომიური სტატუსის ცვლილება და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დასასრული

მილოშევიჩი წარმატებულად განაგრძობდა სერბული ნაციონალიზმის გამოყენებას პოლიტიკურ იარაღად. კოსოვოსა და ვოევოდინას პოლიტიკურ სივრცეში მიღწეული წარმატების შემდეგ, სერბეთის ხელისუფლების მიზანი ახალი პოლიტიკური რეალობის კონსტიტუციაში ასახვა იყო. მილოშევიჩის მიერ ავტონომიური პროვინციების ლიდერებზე მოპოვებულ გავლენას ოფიციალურად გაფორმება აკლდა.

სერბეთის ხელისუფლების დღის წესრიგში საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება იდგა. სერბები ახლოს იყვნენ მთავარ მიზანთან - შესულიყო კონსტიტუციაში ცვლილებები, რის შედეგადაც კოსოვოს და ვოევოდინას პოლიტიკური

უფლებები საგრძნობლად შემცირდებოდა. მილოშევიჩის მიერ გადადგმული რადიკალური ნაბიჯების შედეგად ავტონომიური პროვინციების პოლიტიკური ხელმძღვანელობა სერბეთის ხელისუფლების გავლენის ქვეშ მოექცა. შედეგად, პროვინციები დაეთანხმნენ კონსტიტუციის ცვლილებას, რომლის მიხედვით ისინი 1974 წლის კონსტიტუციით მიღებულ მნიშვნელოვან უფლებებს კარგავდნენ, მათ შორის იუგოსლავიის პრეზიდიუმის პრეზიდენტის არჩევნებზე ხმის უფლება სრულად გადადიოდა ბელგრადის კონტროლქვეშ. ცვლილებების მიხედვით, პროვინციები ვალდებულები ხდებოდნენ მნიშნელოვანი გადაწყვეტილებები სერბეთის ხელისუფლებასთან შეეთანხმებინათ. (Dragović-Soso, 2004: 181)

სერბების მთავარი მიზანი, რაც შეეხებოდა კოსოვოსა და ვეოვოდინაზე კონსტიტუციური გავლენის აღდგენას, ფაქტობრივად სისრულეში იქნა მოყვანილი. თუმცა, იუგოსლავია უფრო დიდი პრობლემის წინაშე დადგა. კოსოვოში მცხოვრები ალბანელები კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ახალი პოლიტიკური რეალობის დამკვიდრებას. იუგოსლავიაში პროცესები საკმაოდ დრამატულად ვითარდებოდა. იუგოსლავიის ერთიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა.

კოსოვოში შექმნილი მძიმე ვითარება სულაც არ იყო გასაკვირი. ის სარგებელი, რომელიც ალბანელებმა 1974 წლის კონსტიტუციით მიიღეს, ფაქტობრივად კოსოვოს მთავრობის ხელით გაანადგურა სერბეთის ხელისუფლებამ. სამაგიეროდ, ბელგრადი კოსოვოელ ალბანელებს და ვოევოდინაში მცხოვრებ უნგრელებს გარანტიას აძლევდა, რომ მათი სამოქალაქო უფლებები დაცული იქნებოდა. (Dragović-Soso, 2004: 181)

პარალელურად, სერბული ნაციონალიზმის აქტიურობა ქმნიდა იმის მოლოდინს, რომ სერბეთი სხვა რესპუბლიკებზე შეეცდებოდ აბსოლუტური კონტროლის მოპოვებას. კოსოვოსა და ვოევოდინას პრობლემის გადაწყვეტა სერბეთისთვის დამატებითი

სტიმული იყო იმისთვის, რომ კვლავ აღედგინათ იუგოსლავიის ფედერაცია იმ სახით, რა სახითაც ქვეყანა ტიტოს ხელისუფლების მიერ საკონსტიტუციო რეფორმების გატარებამდე ცდილობდა. მილოშევიჩსაც, რომელიც უკვე სერბეთის პრეზიდიუმის პრეზიდენტი იყო, მიზნად იუგოსლავიის ერთიანობის განმტკიცება და ტიტოს მსგავს ლიდერად ჩამოყალიბება ჰქონდა.

ეს ყველაფერი ქმნიდა იმის მოლოდინს, რომ ბელგრადი სრულ კონტროლს დაამყარებდა სხვა რესპუბლიკებზე, რაც გამოიწვევდა კონფედერაციის იდეის საბოლოო მარცხს. პარალელურად, 1980-იანი წლების ბოლოს აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე მოვლენებმა, რაც საბოლოოდ კომუნიზმის მარცხითა და სოციალისტური ბლოკის დაშლით დასრულდა, იუგოსლავიის რესპუბლიკებზეც იმოქმედა. სლოვენიამ, ხორვატიამ და ბოსნია და ჰერცეგოვინამ თავი სუვერენულად, მოგვიანებით, კი რესპუბლიკებმა ერთმანეთის მიყოლებით დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და იუგოსლავიის სოციალისტურმა ფედერაციულმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა.

თეორიული ჩარჩო - ახალი ინსტიტუციონალიზმი

საერთაშორისო ურთიერთობებში ყველა მოვლენა შესაძლებელია თეორიულ ჭრილში აიხსნას. თეორიას შეუძლია გაანალიზოს მოვლენა და ახსნას მისი გამომწვევი მიზეზები. შესაბამისად, კონკრეტული თეორიის და შესაძლოა თეორიების მისადაგება თავისუფლადაა შესაძლებელი ნაშრომში დასმული საკითხის მიმართ. ნაშრომში დასმულ საკითხს მიესადაგა ახალი ინსტიტუციონალიზმის თეორია. ახალი ინსტიტუციონალიზმის მთავარი მიმართულებაა იმაზე ფოკუსირება, თუ როგორ ახდენენ ინსტიტუტები გავლენას საზოგადოებაზე.

მკვლევარი ტომას კოელბლი ნაშრომში „ახალი ინსტიტუციონალიზმი პოლიტიკურ მეცნიერებასა და სოციოლოგიაში" თეორიის ძირითად სამ მიმართულებას გამოყოფს. ახალ ინსტიტუციონალისტებში კოელბლი გამოყოფს რაციონალური არჩევანის, სოციოლოგიურ და ისტორიულ ინსტიტუციონალისტებს. კვლევისთვის მნიშვნელოვანია, რომ სამივე მათგანი აღნიშნავს ინსტიტუციების როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიიჩნევს, რომ საზოგადოების ქცევა და არჩევანი მეტ-ნაკლებად ინსტიტუციების მუშაობასა და მათ ცვლილებაზეა დამოკიდებული. (Koelble, 1995: 232)

როდესაც საუბარია, 1974 წლის კონსტიტუციის ამოქმედებასა და გარკვეული ინსტიტუციონალურ ცვლილებებზე, რომლებმაც გავლენა მოახდინეს სერბულ საზოგადოებაზე, ახალი ინსტიტუციონალიზმის, როგორც ამ პროცესების ამხსნელი თეორიის გამოყენება ლოგიკურია. კონსტიტუცია, რომელიც სახელმწიფოს მთავარი იურიდიული დოკუმენტია, ქვეყნის შიგნით სხვადასხვა ინსტიტუტის მუშაობას არეგულირებს.

ახალი ინსტიტუციონალიზმის თეორიის წარმომადგენლები - ჯეიმს მარჩი და იოჰან ოლსენი ნაშრომში „ახალი ინსტიტუციონალიზმი: ორგანიზაციული ფაქტორები პოლიტიკურ ცხოვრებაში“, მიმიოხილავენ ინსტიტუციების მზარდ როლს 1980-იანი წლების დასაწყისში. ნაშრომის მიხედვით, ხალი ინსტიტუციონალიზმი პოლიტიკურ ინსტიტუტებს გაცილებით მეტ ავტონომიას ანიჭებს. სტატიაში საუბარია, რომ სახელმწიფო და შესაბამისად პოლიტიკური ინსტიტუტები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საზოგადოების ქცევასა და არჩევანზე. (March & Olsen, 1984: 734-749)

იუგოსლავიის ახალი კონსტიტუციით განხორციელებულმა ინსტიტუციურმა ცვლილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს საზოგადოებაზე. განსხვავებული იდეოლოგიისა და ისტორიული წარსულის მქონე ჯგუფებმა ცვლილებები განსხვავებულად მიიღეს. ამ ინსტიტუციურმა ცვლილებებმა გარკვეულწილად განაპირობეს კიდეც ქვეყნის მომავალი.

დასკვნა

1974 წლის კონსტიტუციის მიღება საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ისტორიაში. კონსტიტუციამ

ქვეყნის არსებობის მანძილზე მიღებული ბოლო კონსტიტუციით, ტიტოს ხელისუფლებამ საზოგადოებას თვითმმართველობის ახალი მოდელი წარუდგინა. კონსტიტუციის ამოქმედებით ძალაუფლების სწრაფი და მასშტაბური დეცენტრალიზაციის პროცესი დაიწყო, რომელიც მიზნად გადაწყვეტილების მიღების პროცესში რესპუბლიკების მეტ ჩართულობას გულისხმობდა, რაც ხელისუფლებისთვის იუგოსლავიის ერთიანობის განმტკიცების საფუძველს წარმოადგენდა.

ოპტიმისტური განწყობების მიუხედავად, მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ კონსტიტუციის ცალკეული მუხლები პირდაპირ საფრთხეს უქმნიდა იუგოსლავიის ფედერაციის მომვალს. განსაკუთრებით საყურადღებო იყო სერბეთის გავლენის შემცირება არამხოლოდ რესპუბლიკებზე, არამედ მის შემადგენლობაში შემავალ ავტონომიურ პროვინციებზე. კოსოვოსა და ვოევოდინასთვის განსაკუთრებული პოლიტიკური უფლებების მინიჭებით სერბებმა საკუთარ პროვინციებზე კონტროლის რიგი მექანიზმები დაკარგეს.

ბუნებრივია, სერბული პოლიტიკური ელიტა და საზოგადოება ამ ფაქტს მშვიდად არ შეხვდებოდა, თუმცა ტიტო ყოველგვარ წინააღმდეგობას რადიკალური მეთოდებით უმკლავდებოდა. შესაბამისად, მის გარდაცვალებამდე სერბები აქტიურად ვერ იბრძოდნენ დაკარგული უფლებების აღსადგენად. პროვინციები კი ტავისუფლად სარგებლობდნენ კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებით. კოსოვოში ალბანელების მომძლავრების სერბებისთვის საკმაოდ არასასურველი მდგომარეობა შეიქმნა.

1980 წლის 4 მაისი გარდამტეხი დღე გამოდგა იუგოსლავიის მომავალი განვითარებისთვის. იოსიპ ბროზ ტიტოს გარდაცვალებამ რადიკალურად შეცვალა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა. სერბებისთვის უკვე აღარ არსებობდა ტიტოს მსგავსი დამაბრკოლებელი ფაქტორი. შესაბამისად, სერბულ ნაციონალიზმსაც გზა გაეხსნა. მიუხედავად იმისა, რომ სერბების მიზანი ყოველთვის იყო სერბული ეთნოსისთვის ერთიანი სახელმწიფოს შექმნა, მათთვის ყველაზე მტკივნეული მაინც ის ფაქტი იყო, რომ რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური პროვინციები სერბეთისგან დამოუკიდებლად იღებდნენ მნიშვნელოვან, ზოგიერთ შემთხვევაში სერბული ეროვნული ინტერესებისთვის შეუსაბამო გადაწყვეტილებებს.

სერბული ნაციონალიზმის გააქტიურებაში მნიშვნელოვანი წვლილი ინტელიგენციამ შეიტანა. რესპუბლიკის პოლიტიკური ელიტის, ინტელიგენციისა და საზოგადოების დანარჩენი ნაწილის ერთობლივი მოქმედებით, სერბეთი ბევრად უფრო ძლიერ და გავლენიან რესპუბლიკად იქცა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პოლიტიკურ ასპარეზზე სლობოდან მილოშევიჩის გამოჩენა გამოდგა. მილოშევიჩმა ისარგებლა საზოგადოებაში გააქტიურებული ნაციონალისტური განწყობებით და საზოგადოებისა და ინტელიგენციის მიმხრობით საკუთარი პოლიტიკური მიზნები განახორციელა.

1980-იანი წლების ბოლოს იუგოსლავია მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში იყო. მომძლავრებული სერბული ნაციონალიზმი სხვა რესპუბლიკებისთვის საფრთხის შემცველი იყო. ცხადი იყო, რომ ბელგრადი მხოლოდ კოსოვოსა და ვოევოდინასთვის ავტონომიური უფლებების შემცირებით არ დაკმაყოფილდებოდა. მოვლენების ასეთი განვითარება კი კატეგორიულად მიუღებელი იყო სხვა რესპუბლიკებისთვის. ქვეყნის ერთიანობა უკვე კითხვის ნიშნის

ქვეშ იყო. სოციალისტური ბლოკის დაშლის შემდეგ დაიწყო იუგოსლავიის დეზინტეგრაცია.

კვლევის შედეგად დამტკიცდა ვარაუდი, რომ იუგოსლავიის 1974 წლის კონსტიტუციამ, კერძოდ კი კოსოვოსა და ვოევოდინასთვის უფლებების გაზრდამ, რასაც 1980-იან წლებში სერბული ნაციონალიზმის მომძლავრება მოჰყვა, ნეგატიური გავლენა იქონია იუგოსლავიის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს არსებობაზე, რაც საბოლოოდ ქვეყნის დაშლით დასრულდა. ამ ყველაფერს მშვიდობიანად არ ჩაუვლია. 1991 წელს დაწყებული სამხედრო დაპირისპირება 2001 წლამდე გავრცელდა. ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ცვლილებები 21-ე საუკუნეშიც გრძელდება. 2006 წელს ორად გაიყო სერბეთი და მონტენეგრო, ხოლო 2008 წელს კოსოვომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. „იუგოსლავიური“ პრობლემების გადაწყვეტა აქტუალობას დღესაც არ კარგავს.

გამოყენებული ლიტერატურა

Bagwell, B. (1991). Yugoslavian Constitutional Questions: Self-Determination and Secession of Member Republics, *Georgia Journal of International & Comparative Law* https://digitalcommons.law.uga.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=https://www.google.com/&httpsredir=1&article=1558&context=gjicl

Čepič, Z. (2016). *The Time of Tito's Yugoslavia: Key Issues Between 1945 and 1980 In 'Between the House of Habsburg and Tito: A Look at the Slovenian Past 1861–1980,* Ljubljana

Constitution of the Socialist Federal Republic of Yugoslavia 21 Feb 1974, Dopisna Delavska Univerza, Ljubljana: 1974

D'Souza, C. (1994). The Break up of Yugoslavia. *Economic and Political Weekly, 29(48),* 3027-3031. Retrieved from http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/4402066

Djilas, A. (1993). A Profile of Slobodan Milošević. *Foreign Affairs, 72(3),* 81-96. Retrieved from www.jstor.org/stable/20045624

Dragović-Soso, J. (2004). Rethinking Yugoslavia: Serbian Intellectuals and the 'National Question' in Historical Perspective. Contemporary European History, 13(2), 170-184. Retrieved from http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/20081204

Guzina, D. (2003). Socialist Serbia's Narratives: From Yugoslavia to a Greater Serbia. *International Journal of Politics, Culture, and Society, 17(1),* 91-111. Retrieved from http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/20020199

Guzina, D. (2000). The Self-Destruction of Yugoslavia, *Canadian Review of Studies in Nationalism 27, no. 1/2:* 21-32. https://scholars.wlu.ca/cgi/viewcontent.cgi?referer=https://www.google.com/&httpsredir=1&article=1033&context=poli_faculty

Hayden, R. M. (1992). The Beginning of the End of Federal Yugoslavia: The Slovenian Amendment Crisis of 1989, *Center for Russian & East European Studies,* University of Pittsburgh

Iglar, R. F. (1992). The Constitutional Crisis in Yugoslavia and the International Law of Self-Determination: Slovenia's and Croatia's Right to Secede, *15 B.C. Int'l & Comp. L. Rev. 213* https://lawdigitalcommons.bc.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1537&context=iclr

Ingrao, C. W., & Emmert, T. A. (Eds.) (2010). *Confronting the Yugoslav Controversies: A Scholars' Initiative.* Washington, D.C.: United States Institute of Peace Press, West Lafayette, IN.: Purdue University Press

Jovic, D. (2009). Yugoslavia: *A State that Withered Away*, Purdue University Press

Klasić, H. (2015). „Flexing the Federation": Sociopolitical changes in Yugoslavia in the 1960s ands, *Yu historija.* http://www.yuhistorija.com/yug_second_txt01c4.html

Koelble, T. (1995). The New Institutionalism in Political Science and Sociology. *Comparative Politics, 27(2),* 231-243. Retrieved from www.jstor.org/stable/422167

Koyama, Y. (2000). Transition to a Market Economy in Former Yugoslavia, *Niigata University Scholars Series Vol. 1.* 15-54

Križan, M. (1994). New Serbian Nationalism and the Third Balkan War. *Studies in East European Thought, 46(1/2),* 47-68. Retrieved from http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/20099532

MacDonald, D. B. (2003) *Balkan Holocausts? Serbian and Croatian victim centred propaganda and the war in Yugoslavia. (New Approaches to Conflict Analysis).* Manchester: Manchester Univ. Press. https://www.ssoar.info/ssoar/bitstream/handle/document/27116/ssoar-2003-macdonald-balkan_holocausts_serbian_and_croatian.pdf?sequence=1&isAllowed=y&lnkname=ssoar-2003-macdonald-balkan_holocausts_serbian_and_croatian.pdf

MacDonald, D. B. (2003). Tito's Yugoslavia and after: Communism, post-Communism, and the war in Croatia' pp. 183-219 from the book *'Balkan Holocausts?: Serbian and Croatian victim centred propaganda and the war in Yugoslavia,* Manchester: Manchester Univ. Press https://www.jstor.org/stable/j.ctt155jbrm.12

March, J., & Olsen, J. (1984). The New Institutionalism: Organizational Factors in Political Life. *The American Political Science Review, 78(3),* 734-749. Retrieved from http://www.jstor.org/stable/1961840

Nikolić, M. (1998). Kosovo in Historical Perspective: Past and Future. *SEER: Journal for Labour and Social Affairs in Eastern Europe, 1(4),* 7-29. Retrieved from http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/43291740

Pesic, V. (1996). *Serbian Nationalism and the Origins of the Yugoslav Crisis.* Washington: United States Institute of Peace https://www.files.ethz.ch/isn/30963/1996_april_pwks8.pdf

Radan, P. (1998). Constitutional Law and the Multinational State: The Failure of Yugoslav Federalism, *UNSW Law Journal* http://www.austlii.edu.au/au/journals/UNSWLJ/1998/51.pdf

Roberts, A. (1978). Yugoslavia: The Constitution and the Succession. *The World Today, 34(4),* 136-146. Retrieved from http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/40395044

Rogel, C. (2003). Kosovo: Where It All Began. *International Journal of Politics, Culture, and Society, 17(1),* 167-182. Retrieved from http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/20020202

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Givi Kalandadze

The Political Status of Kosovo and Vojvodina According to the 1974 Constitution: The Beginning of the End of Yugoslavia

Diplomacy and International Politics

Thesis is submitted to obtain Master's Academic Degree in Diplomacy and International Politics

David Matsaberidze

Assistant Professor

Tbilisi

2019